



მავთულხლართებს მიღმა

„ბორდერიზაციით“ გამოწვეული ადამიანის უფლებათა დარღვევები საქართველოში

„საერთაშორისო ამნისტია“ გლობალური მოძრაობაა, რომელიც შვიდ მილიონზე მეტ ადამიანს აერთიანებს. ჩვენ მსოფლიოში ადამიანის უფლებების გასაზრცელებლად ვიბრძვით. ჩვენ გვჯერა, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. ჩვენ უკლებლივ ყველა ხელისუფლების, პოლიტიკური იდეოლოგიის, ეკონომიკური ინტერესისა თუ რელიგიის გავლენისაგან თავისუფალი და დამოუკიდებელი ვართ. ჩვენი დაფინანსების მთავარ წყაროს მოქალაქეებისა და ჩვენი წევრების შემოწირულობები შეადგენს.

©საერთაშორისო ამნისტია 2019
გარდა მითითებული შემთხვევებისა, ამ დოკუმენტში შესული ინფორმაცია დაცულია Creative Commons-ის ლიცენზია 4.0-ით (წყაროს მითითების ვალდებულება, არაკომერციული მიზნით გამოყენების შესაძლებლობა, გადამუშავების დაუშვებლობა); <https://creativecommons.org/licenses/by-nc-nd/4.0/legalcode> დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს და იხილოთ ნებართვების სექცია: www.amnesty.org
პირველად გამოქვეყნებულია 2019 წელს შპს საერთაშორისო ამნისტიის მიერ. პიტერ ბენენსონ ჰაუს ისტონ სთრით, 1 ლონდონი, WC1X 0DW გაერთიანებული სამეფო

ინდექსი: EUR 56/0581/2019
ანგარიშის თავდაპირველი ენა: ინგლისური

amnesty.org



ფოტო ყდაზე: 2013 წელს, როდესაც რუსმა ჯარისკაცებმა „ბორდერიზაციის“ პროცესი დაიწყეს, 85 წლის დავით ვანიშვილის სოფელი ხურვაღეთი მავთულხლართებით გაიყო. მისი სახლი და ეზო თბილისის მიერ კონტროლირებული ტერიტორიის მიღმა - ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მხარეს - აღმოჩნდა. დავით ვანიშვილმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრა, რომ ის მონყვეტილია დანარჩენ სოფელს და ქვეყანას, ნათესავებსა და მეზობლებს.
© საერთაშორისო ამნისტია 2019



სარჩევნი

1. მოკლე შინაარსი	5
2. მეთოდოლოგია	9
2.1 ტერმინების გამოყენება	10
3. კონტექსტი	12
3.1 კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში	12
3.2 საერთაშორისო მექანიზმების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების დაშვებაზე არსებული შეზღუდვები	14
4. საერთაშორისო სამართალი	16
4.1 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	16
4.2 საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	19
5. „ბორდერიზაცია“ და მისი გავლენა გადაადგილების თავისუფლებაზე	21
5.1 სექურტიზაცია და ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მდებარეობა	24
5.2 „ბორდერიზაციის“ რეჟიმები	26
5.3 გადაადგილების თავისუფლება და საერთაშორისო სამართალი	30
6. თავისუფლების შეზღუდვა და არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევები	31
7. ცხოვრების სათანადო დონის უფლება	36
7.1 საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობა - სასოფლო-სამეურნეო მიწების ჩამორთმევა	37
7.2 საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობა - შეზღუდვები ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ ვაჭრობაზე	40
7.3 საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობა და საერთაშორისო სამართალი	43
7.4 სოციალური და ეკონომიკური დახმარების სიმცირე „ბორდერიზაციით“ დაზარალებული მოსახლეობისთვის	45
8. თანასწორი ცხოვრების უფლება	47
9. რელიგიის თავისუფლება და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება	50
10. შეჯამება და რეკომენდაციები	52
10.1 რეკომენდაციები	52

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

აბრევიატურა	მნიშვნელობა
ABL	ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზი
COE	ევროპის საბჭო
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
ECTHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
EUMM	ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში
EU	ევროკავშირი
FSB	რუსეთის ფედერაციის ფედერალური უსაფრთხოების სამსახური
ICCPR	საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ
ICESCR	საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ
ICRC	წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი
IDP	იძულებით გადაადგილებული პირი
IPRM	ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OSCE	ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)
UNHCR	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი

1. მოკლე შინაარსი

„ჩვენი ცხოვრება „ბორდერიზაციამ“ შეცვალა. მავთულხლართების გამო საძოვრებს და სახნავ-სათეს მიწებს ვეღარ ვიყენებთ. მოსავლის აღება და პირუტყვის ყოლა შეუძლებელი გახდა. გვეშინია სასაფლაოსთან მიახლოებისაც. სასაფლაოები მავთულხლართებთან ძალიან ახლოსაა და ვშიშობთ, რომ დაგვიჭერენ.“

სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მდებარე სოფელ წითელუბნის მოსახლეობა საერთაშორისო ამნისტიას მათი სოფლის მიმდებარედ რუსეთის ფედერაციის მიერ მავთულხლართების გავლების პროცესის შედეგებზე უამბობს.

2013 წელს, როდესაც რუსმა ოფიცრებმა სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონს და თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიას შორის ფიზიკური ბარიერების გავლება დაიწყეს, მათ 85 წლის ხურვალეთელი დავით ვანიშვილი მძიმე არჩევანის წინაშე დააყენეს. აღმოჩნდა, რომ სასაზღვრო ხაზი მის სოფელში უნდა გავლებულიყო. ვანიშვილს არჩევანის გაკეთება საკუთარ სახლში, სეპარატისტულ ტერიტორიაზე დარჩენას და თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, დარჩენილი ცხოვრების დევილობაში გატარებას შორის მოუხდა. მან დარჩენა გადაწყვიტა და ახლა ოჯახის სხვა წევრებისგან და მეგობრებისგან მავთულხლართებითაა დაშორებული. დაკავების საფრთხის ქვეშ მყოფი, ის და მისი მეუღლე ნათესავების და მეზობლების იმედად ცხოვრობენ, რომლებიც პენსიას, სამედიცინო დახმარებას და სხვა ნივთებს მალულად, დამღამობით, ღობიდან აწვდიან. მადლიერების ნიშნად, დავით ვანიშვილი მათი გარდაცვლილი ნათესავების საფლავებს უვლის, რომელიც მისი სახლის მსგავსად, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიღმა აღმოჩნდა.

დავითი 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის კონფლიქტის მტკივნეული მემკვიდრეობის მსხვერპლია. მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით, შეიარაღებული დაპირისპირება 2008 წლის აგვისტოშივე დასრულდა, ომს ამ დრომდე აქვს უმძიმესი გავლენა კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაზე. დავით ვანიშვილი მათ შორისაა, ვინც ომის შედეგად ან იძულებით გადაადგილებული გახდა ან მაღალი უსაფრთხოების ზონაში - ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიმდებარედ - აღმოჩნდა. ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზები თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიას სეპარატისტული ტერიტორიებისგან ჰყოფს (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი). ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზები მოსახლეობას ერთმანეთს ამორებს და მათი შემოსავლის მთავარ წყაროს - სასოფლო-სამეურნეო მიწებს - სწყვეტს. სოფლის მცხოვრებლებმა, რომელთა ნაწილიც ქვეყნის უღარიბეს ადგილებში ცხოვრობს, საძოვრებზე, სამეურნეო მიწებზე, ხეხილის ბაღებზე, წყლის რესურსებზე და ტყის რესურსებზე წვდომა დაკარგეს. ადგილობრივები მოწყვეტილები არიან ნათესავებს, შემოსავლის წყაროებს და რელიგიური დანიშნულების ადგილებს. ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთისას, ყოველწლიურად ასობით ადამიანის თვითნებური დაკავება ხდება.

ადამიანის უფლებათა დარღვევების უმრავლესობა, რომლებსაც დავით ვანიშვილი და სხვა ადგილობრივები აწყდებიან, სწორედ „ბორდერიზაციის“ პროცესის პირდაპირ შედეგია,

პროცესისა - რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ განხორციელდა და არარსებული ხაზები ფიზიკურ ბარიერებად აქცია. „ბორდერიზაციის“ პროცესი, რუსეთის უსაფრთხოების სამსახურმა და დე ფაქტო მთავრობების წარმომადგენლებმა 2009 წელს დაიწყეს და მიზნად ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის „საერთაშორისო საზღვრად“ გადაქცევა დაისახეს, მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლად აღიარების კვალდაკვალ. „ბორდერიზაციის“ პროცესის ფარგლებში, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მონიშვნისა და უსაფრთხოების ზომების გამკაცრების მიზნით, რუსები და დე ფაქტო მთავრობების წარმომადგენლები ავლებენ მავთულხლართებს, აწყობენ ლითონის ან ხის ღობეებს, გაჰყავთ თხრილები და ხანძარსაწინააღმდეგო ხეხულები, და აწყობენ „საზღვრის“ აღმნიშვნელ ნიშნებსა და სათვალთვალო ინფრასტრუქტურას.

საერთაშორისო ამნისტია მიიჩნევს, რომ „ბორდერიზაცია“ უარყოფითად აისახება ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობაზე, უზღუდავს მათ გადაადგილების თავისუფლებას და პირად თავისუფლებას, აუარესებს მათი ცხოვრების სტანდარტს და აღრმავებს დისკრიმინაციულ მიდგომებსა და ზომებს. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ანგარიში ძირითადად კონფლიქტით დაზარალებულ იმ მოსახლეობას ეხება, რომელიც საქართველოს კონტროლირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობს და ბოლო წლების განმავლობაში რუსეთის ძალების მიერ დამატებითი ტერიტორიების დაკავებით, კიდევ უფრო მეტად დაზარალდა.

საქართველოს ხელისუფლების ცნობით, 2018 წლის ბოლოსთვის, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრებს ფიზიკური ბარიერები 34 სოფელში ჰქონდათ გავლებული, რამაც ადგილობრივებს ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მახლობლად მდებარე სახნავ-სათეს მიწებზე, საძოვრებზე, წყლის რესურსებზე და სოფლის სასაფლაოებზე წვდომა დააკარგვინა. „ბორდერიზაციის“ დაწყებიდან სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მცხოვრებმა 800-დან 1000-მდე ოჯახმა სრულად ან ნაწილობრივად დაკარგა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე და ტყის რესურსებზე წვდომა.

საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო-რუსეთის კონფლიქტის თაობაზე მიმდინარე დისკუსიები უფრო მეტად უსაფრთხოებას და კონფლიქტის პოლიტიკურ და სოციალურ ასპექტებს ეხება. ამის გამო, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ხშირად სათანადო ყურადღების გარეშე რჩება. ეს ანგარიში სწორედ ამ საინფორმაციო ვაკუუმის შევსებას ისახავს მიზნად. კერძოდ, წინამდებარე ანგარიში ადამიანის უფლებათა დარღვევებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიდგომებზე დაყრდნობით იკვლევს და აანალიზებს. კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით, საერთაშორისო ამნისტია მოუწოდებს ყველა შესაბამის აქტორს პატივი სცეს და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლებისა და სხვა უფლებების დაცვა უმთავრეს გამოწვევად რჩება. ადგილობრივი მოსახლეობა ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზს სხვადასხვა მიზეზებით ორივე მხარეს კვთს - მიწის დასამუშავებლად, სავაჭროდ, ნათესავების სანახავად, სამედიცინო მომსახურების მისაღებად, სწავლასთან დაკავშირებით, სოციალური დახმარების მისაღებად, საფლავებისა და ეკლესიების მოსანახულებლად. გადასასვლელების გვერდის ავლით და შესაბამისი საბუთების გარეშე მიმოსვლას (დოკუმენტაციის მიღება რთულია) რუსეთი და დე ფაქტო მთავრობები უკანონოდ მიიჩნევენ. შედეგად, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთისას, ყოველწლიურად ასობით ადამიანის თვითნებურად დაკავება ხდება. მათ შორის, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში არიან ორივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები - ქართველებიც და ოსებიც. ზოგიერთ შემთხვევაში, არსებობს ვარაუდი დაკავებისას არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ.

გადაადგილების შეზღუდვას თან გაურკვევლობა და ინფორმაციის ნაკლებობაც ახლავს; ადგილობრივები არ ფლობენ ინფორმაციას, გადაკვეთის რეჟიმების და მოუნიშნავ მონაკვეთებში ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ზუსტი მდებარეობის შესახებ. შედეგად, ხშირია შემთხვევები, როცა რუსი ოფიცრები „სახელმწიფო საზღვრის“ დარღვევის ბრალდებით ისე აკავებენ ადამიანებს, რომ დაკავებულებმა არც კი იციან სად გადის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზი.

„ბორდერიზაციამ“ ადგილობრივი მოსახლეობის ისედაც რთული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. ადგილობრივებმა საძოვრებზე, სახნავ-სათეს მიწებზე, ხეხილის ბაღებზე, ტყის რესურსებზე და წყლის რესურსებზე წვდომა დაკარგეს, რამაც მათ ერთადერთი საარსებო წყარო წაართვა. სოფელ გუგუტიანთკარის მცხოვრებმა 71 წლის ამირან გუგუტიშვილმა 2017 წელს, „ბორდერიზაციის“ გამო ხეხილის

ბალი დაკარგა და მთლიანად სახელმწიფოს დახმარების ამარად დარჩა: „ყოველწლიურად დაახლოებით 100 ყუთი ვაშლი მომყავდა. მოსავლის გაყიდვით მიღებული შემოსავალი ოჯახის არსებობისთვის საკმარისი იყო. 2017 წლის შემდეგ ჩემს ბაღში შესვლას ვეღარ ვახერხებ. რუსებმა იქ „სახელმწიფო საზღვრის“ ნიშანი დააყენეს. ზოგჯერ მოვიდივარ ხოლმე და შორიდან ვუყურებ ჩემს ვაშლის ხეებს.“

ამავდროულად, გადასასვლელების დახურვამ, ადგილობრივებს ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ ვაჭრობის შესაძლებლობაც შეუზღუდა, რამაც - თავის მხრივ - მათი ცხოვრების დონე გააუარესა. საკვების გამომუშავებისთვის საჭირო წყაროებზე წვდომის დაკარგვასთან ერთად, ადგილობრივებმა მათთან ახლოს მდებარე და მათთვის ტრადიციულ ბაზრებზე წვდომაც დაკარგეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა ადგილობრივ მოსახლეობას გარკვეულ სოციალურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას უწევს, ადგილობრივების თქმით, სახელმწიფოს დახმარება არასაკმარისია და თავს ისე გრძნობენ, როგორც „დევნილები საკუთარ სახლში.“

„ბორდერიზაცია“ და შეზღუდული გადაადგილება უარყოფითად აისახება ოჯახური ცხოვრების უფლებებზე. ოჯახის წევრები, რომლებიც ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ, ერთმანეთის მონახულებას ან საერთოდ ვერ ახერხებენ ან პროცესში ბევრ სირთულეს აწყდებიან. სამხრეთ ოსეთთან/ცხინვალის რეგიონთან ახლოს მდებარე რამდენიმე რელიგიური ნაგებობა და სასაფლაო მავთულხლართებს მიღმა ან მასთან ძალიან ახლოს აღმოჩნდა. ამის გამო, ადგილობრივებს საფლავებისა და ეკლესიების მონახულების საშუალება შეეზღუდათ, რაც ლახავს მათი რელიგიისა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას.

ამ ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებები უმეტესად დაზარალებულთა მონაცემებს ეფუძნება, რომელიც საერთაშორისო ამნისტიამ 2018 წელს მოისმინა. კვლევის პროცესში, საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლები „ბორდერიზაციის“ შედეგად დაზარალებულ 150-ზე მეტ ადამიანს გაესაუბრნენ. საერთაშორისო ამნისტია ასევე შეხვდა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებსა და კონფლიქტებსა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

საერთაშორისო ამნისტიამ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებასთან და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობების წარმომადგენლებთან შეხვედრის სურვილიც გამოთქვა. ორგანიზაციამ ამ ტერიტორიებზე საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლის შეშვებაც მოითხოვა. საერთაშორისო ამნისტია გამოთქვამს წუხილს, რომ მის მიერ გაგზავნილ თხოვნაზე არც ერთ ადრესატს პასუხი არ გაუცია და შესაბამისად, მათი მოსაზრებები ანგარიშში ვერ აისახა. აქედან გამომდინარე, პირველწყაროს ნაცვლად გამოყენებულია სამაგიდე კვლევისთვის ხელმისაწვდომი მასალა.

საქართველო-რუსეთის 2008 წლის კონფლიქტიდან 10 წლის შემდეგ, სამხრეთ ოსეთზე/ცხინვალის რეგიონზე და აფხაზეთზე საერთო ეფექტური კონტროლი რუსეთის ფედერაციას აქვს. ის ამას ამ ტერიტორიებზე განთავსებული მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტინგენტით და ადგილობრივ ბიუჯეტებში მნიშვნელოვანი შენატანებით ახორციელებს. შესაბამისად, ამ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვაზე და აღსრულებაზე უპირატესი ვალდებულება რუსეთს გააჩნია. რუსეთმა და დე ფაქტო მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება; ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე დაწესებული შეზღუდვების არსებული დონე გაუმართლებელია. ყველას, ვინც მოწყვეტილია ოჯახებსა და საარსებო წყაროებს, მათ შორის მათ, ვინც საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობს და სახნავ-სათესი მიწები რუსეთის მიერ დაწყებული „ბორდერიზაციის“ პროცესის შედეგად დაკარგა, უნდა მიეცეს საკუთარი მიწების გამოყენების შესაძლებლობა და ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე უსაფრთხოდ გადაადგილების საშუალება.

საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, რათა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებასთან ერთად ამ ანგარიშში ასახული ადამიანის უფლებათა დარღვევები გადაჭრას და აიძულოს რუსეთი შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. ამასთანავე, საერთაშორისო თანამეგობრობამ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს, რომ მოხდეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების დაშვება, რაც 2008 წლის ომის შემდეგ არ განხორციელებულა. საქართველომ უნდა გაუწიოს შესაბამისი დახმარება იმ ოჯახებს, რომელთა სოციალური და ეკონომიკური უფლებები „ბორდერიზაციის“ შედეგად შეილახა, განსაკუთრებით მათ, ვინც „ბორდერიზაციის“ გამო სახნავ-სათესი მიწებზე, ხეხილის ბაღებსა და საძოვრებზე წვდომა დაკარგა.

შენიშვნა: საერთაშორისო ამნისტია არ გამოხატავს პოზიციას საქართველოს, რუსეთისა და სეპარატისტული რეგიონების გარშემო არსებული კონფლიქტის პოლიტიკურ საკითხებზე, რაზეც მხარეებს საკმაოდ წინააღმდეგობრივი პოზიციები აქვთ. ამ ანგარიშის მიზნებისთვის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობებთან დაკავშირება მოხდა იმ მიზეზით, რომ ადგილობრივ დონეზე სწორედ ისინი ახორციელებენ კონტროლს; ეს ნაბიჯი მათი მთავრობების de jure-დ ცნობას არ ნიშნავს. დისკრიმინაციის, წარსულში იძულებით გადაადგილებისა და სხვადასხვა ჯგუფების თავდაპირველ საცხოვრებლებში დაბრუნების უფლების საკითხები მნიშვნელოვანი და აქტუალურია. თუმცა, ეს საკითხები სცდება წინამდებარე ანგარიშის ფოკუსს.

2. მეთოდოლოგია

საერთაშორისო ამნისტია მიიჩნევს, რომ „ბორდერიზაცია“ უარყოფითად აისახება ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობაზე, უზღუდავს მათ გადაადგილების თავისუფლებას და პირად თავისუფლებას, აუარესებს მათი ცხოვრების სტანდარტს და აღრმავებს დისკრიმინაციულ მიდგომებსა და ზომებს. თუმცა, წინამდებარე ანგარიში ძირითადად კონფლიქტით დაზარალებულ იმ მოსახლეობას ეხება, რომელიც საქართველოს კონტროლირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობს და ბოლო წლების განმავლობაში რუსეთის ძალების მიერ დამატებითი ტერიტორიების დაკავებით, კიდევ უფრო მეტად დაზარალდა. საერთაშორისო ამნისტია მოხარული იქნება, თუ ორგანიზაციას მსგავსი კვლევის ჩატარების მიზნით, რუსეთის ხელისუფლება და დე ფაქტო მთავრობები მათ მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე შესვლაში დახმარებას აღმოუჩინენ.

2018 წელს, საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლები თბილისში და კონფლიქტით დაზარალებულ იმ სოფლებში ჩავიდნენ, რომელიც თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, მაგრამ „ბორდერიზაციის“ ზონაში მოხვდა. ამ ვიზიტების ფარგლებში, საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლები „ბორდერიზაციის“ შედეგად დაზარალებულ 150-ზე მეტ ადამიანს გაესაუბრნენ.

2018 წლის მარტში საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლები სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მდებარე, თბილისის მიერ კონტროლირებულ სოფლებს ეწვივნენ. ეს სოფლებია: დვანი, ნიქოზი, ერგნეთი, გუგუტიანთკარი, წითელუბანი და ხურვაღეთი. სოფლების შერჩევას, მთავარი მიზანი „ბორდერიზაციის“ არეალის მაქსიმალური დაფარვა იყო. ამ სოფლებში საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლებმა 100-მდე ადამიანი გამოკითხეს. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა თავს სოფლის მეურნეობით ირჩენს. მსგავსი ვიზიტები და ინტერვიუები ჩატარდა აფხაზეთის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიმდებარედაც (დაახლოებით 30 პირი). ეს სოფლებია: შამგონა და ხურჩა. საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლებმა მოინახულეს გამყოფი ხაზი, „საზღვრის“ მონიშვნები და დაკეტილი გადასასვლელი (ხურჩა-ნაბაკევის და ორსანტია-ოტობაის), ისევე როგორც მთავარი გადასასვლელი ენგურის ხიდზე, ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან.

ინტერვიუები გალში დაბრუნებულ ეთნიკურად ქართველებთან თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე ჩატარდა, ქალაქ ზუგდიდში, (22 პირი) 2018 წლის მარტში და ქალაქ თბილისში, (10 პირი) 2018 წლის ივლისში. ინტერვიუები ახალგორის რაიონში დაბრუნებულ ეთნიკურად ქართველებთან ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით თბილისში (ორი პირი) და ტელეფონის მეშვეობით (ახალგორი, ერთი პირი), 2018 წლის ივლისში.

ინტერვიუები ინდივიდუალურად ჩატარდა, გარდა რამდენიმე ფოკუს ჯგუფის ტიპის დისკუსიისა. რესპონდენტებმა მათი მოსაზრებების ანგარიშში გამოყენებაზე თანხმობა გამოთქვეს. ინტერვიუების მონაწილეთათვის არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად, მათი თხოვნის საფუძველზე, რესპონდენტების სახელი, გვარი და პირადი ინფორმაცია ანონიმურია. ანონიმურობა არჩია ახალგორელი და გალელი რესპონდენტების უმეტესობამაც (ან მათ, ვისაც ამ ტერიტორიებზე ჰყავთ ოჯახები). საერთაშორისო ამნისტიისთვის განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა გალის და ახალგორის რაიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან ინტერვიუების ჩატარება. უსაფრთხოების მიზეზებიდან გამომდინარე, ბევრმა პოტენციურმა რესპონდენტმა ახალგორიდან საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენელთან საუბარზე უარი განაცხადა.

ჯგუფური ინტერვიუების დროს, ქალებთან და კაცებთან ცალ-ცალკე გაიმართა ინტერვიუები. მათ საერთაშორისო ამნისტიის იმავე გენდერის წარმომადგენელი გაესაუბრა.

იმისათვის, რომ კვლევის მიგნებებზე მოსაზრებების გამოთქმის თანაბარი შესაძლებლობა ყველა მხარეს მისცემოდა, თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე კვლევის საწყისი ფაზის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო ამნისტიამ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას, სამხრეთ ოსეთისა/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობებს წერილობით მიმართა. 2018 წლის ივლისში ოფიციალური წერილები გაიგზავნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მოსკოვი) და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროებში (სოხუმი, ცხინვალი), სადაც საერთაშორისო ამნისტიამ ადრესატებს კვლევის მიგნებები და წუხილები გააცნო, და დამატებითი ინფორმაცია გამოითხოვა. აღნიშნული წერილის ასლები გაიგზავნა მოსკოვში მდებარე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საელჩოებშიც.

გაგზავნილ წერილებში, საერთაშორისო ამნისტიამ ასევე გამოთქვა სურვილი შეხვედროდა შესაბამის პირებს რუსეთის ფედერაციაში, სამხრეთ ოსეთსა/ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, კვლევის მიგნებების პირადად განსახილველად. ანგარიშის გამოქვეყნების დროისთვის ორგანიზაციას პასუხი არ მიუღია.

საქართველოში, საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლები საგარეო საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო აპარატის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის (დევნილობაში) და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

ინტერვიუები ჩატარდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობასთან საქართველოში, ასევე კონფლიქტებზე და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. საერთაშორისო ამნისტიამ შეისწავლა ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაეროს, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მიერ მომზადებული ანგარიშები, საერთაშორისო და ადგილობრივი მედიით გავრცელებული ინფორმაცია, ფოტოები, ვიდეოები და სატელევიზიო გამოსახულებები. ინფორმაცია დაზარალებულებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტერვიუებით გადამოწმდა.

2.1 ტერმინების გამოყენება

სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლება ტერიტორიას „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა - ალანიის სახელმწიფო“ უწოდებს, საქართველოს ხელისუფლება კი, ამ რეგიონს „ცხინვალის რეგიონად“ მოიხსენიებს. ეს ანგარიში, გაეროს მსგავსად, იყენებს ტერმინს „სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი.“¹ ანგარიშში, საქართველოს ტერიტორიები, რომლის ადმინისტრირება თბილისის მიერ ხდება, მოხსენიებულია როგორც „თბილისის მიერ კონტროლირებული ტერიტორია.“ ამ ტერმინების გამოყენება არავითარ შემთხვევაში არ მიუთითებს კონფლიქტში პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირებას; ის მხოლოდ იმ მიზნისთვის გამოიყენება, რომ ტექსტის შინაარსი მკითხველისთვის უფრო ადვილად გასაგები იყოს. სოხუმისა და ცხინვალის მთავრობების მიმართ ტერმინ „დე ფაქტოს“ გამოყენება ასევე არ გულისხმობს პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირებას; ის მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ ეს მთავრობები საერთაშორისო დონეზე აღიარებულნი არ არიან.

გეოგრაფიული სახელები, როგორცაა Tskhinvali (საქართველოს ხელისუფლების, გაეროსა და საერთაშორისო თანამეგობრობის უმრავლესობის მიხედვით) ან Tskhinval (სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობის მიხედვით) და Sokhumi (საქართველოს ხელისუფლების მიხედვით), Sukhumi (გაეროსა და საერთაშორისო თანამეგობრობის უმრავლესობის მიხედვით) ან Sukhum (აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მიერ), ამ ანგარიშში მოხსენიებულია გაეროსა და სხვა მთავრობათაშორისი ორგანიზაციების მიერ გამოყენებული ვერსიით.

¹ მაგალითისთვის იხილეთ გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/72/280, აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსი. 2018 წლის ივნისი. ხელმისაწვდომია აქ: https://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/72/280

1994 წელს, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ გალის რაიონის ადმინისტრაციული საზღვრები შეცვალა; ცვლილების ფარგლებში, გალის რაიონის ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარე სოფლები ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონებს მიეკუთვნა. ამ ანგარიშში გამოყენებული ტერმინი „გალის რაიონი,“ სიმარტივისთვის გულისხმობს გალის რაიონს 1994 წლამდე საზღვრებში, იმ სოფლების ჩათვლით, რომლებიც დღეს ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონების დე ფაქტო ნაწილებს წარმოადგენენ.

წინამდებარე ანგარიშში გამოყენებული ტერმინი „ბორდერიზაცია“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების გასწვრივ მონიშვნებისა და ფიზიკური ბარიერების გავლების პროცესს ასახავს. ამ ანგარიშში, თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიასა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონს შორის გამყოფი ხაზები მოხსენიებულია, როგორც „ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზი,“ რადგან ეს ხაზები საერთაშორისო დონეზე საერთაშორისო საზღვრად მიჩნეული არ არის. ამ ტერმინის გამოყენება, კონფლიქტის შესახებ პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვას არ ნიშნავს.

3. კონტექსტი

3.1 კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში

რეგიონის რუკა



მეოცე საუკუნის მიწურულს, საბჭოთა საქართველოში ეთნიკური ნაციონალიზმის გააქტიურებამ და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვამ ეთნიკურ ნიადაგზე დაძაბულობა წარმოშვა, ერთი მხრივ - ეთნიკურად ქართველებსა და აფხაზებს, და მეორე მხრივ - ეთნიკურად ქართველებსა და ოსებს შორის. ეს ორი ეთნიკური ჯგუფი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფ ორ ავტონომიურ ერთეულში იყო კონცენტრირებული.² წლების მანძილზე მიმდინარე მოვლენებმა კიდევ უფრო გაამძაფრა მხარეთა წარმოდგენები, რომ ისინი ერთმანეთისგან დისკრიმინაციას განიცდიდნენ. შედეგად, საბჭოთა კავშირის დაშლისას, 80-იანი წლების ბოლოს, ეთნიკურ ნიადაგზე არსებული დაძაბულობა სეცესიურ მოთხოვნებში გადაიზარდა; აფხაზებმა და ოსებმა საქართველოსგან გამოყოფა მოითხოვეს. ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების სურვილსა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებს შორის დაპირისპირება, 90-იანი წლების დასაწყისში შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. 1994 წლისთვის,

² კონფლიქტის შესახებ წინააღმდეგობრივი ნარატივები არსებობს. მაგალითისთვის იხილეთ „საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის“ ანგარიში, 2009 წლის სექტემბერი. ხელმისაწვდომია აქ: https://www.echr.coe.int/Documents/HUDOC_38263_08_Annexes_ENG.pdf

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებების ძალაში შესვლისას, საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთის უდიდეს ნაწილზე და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ზოგიერთ ნაწილზე კონტროლი უკვე ჰქონდა დაკარგული. სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში საქართველოს, რუსეთის ფედერაციისა და ოსების ერთობლივი სამშვიდობო ძალები იყვნენ განლაგებული, აფხაზეთში კი, რუსი მშვიდობისმყოფელები.

აფხაზეთის კონფლიქტს დაახლოებით 10000 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, 25000-მდე კი, იძულებით გადაადგილებული გახდა. იძულებით გადაადგილებულ პირთა უმეტესობა ეთნიკურად ქართველი იყო; მათმა უმრავლესობამ თავშესაფარი თბილისის კონტროლირებულ ტერიტორიაზე პოვა.³ დაახლოებით 40000-50000 ეთნიკურად ქართველი საკუთარ სახლებს დაუბრუნდა, თუმცა მხოლოდ გალის რაიონში.⁴

სხვადასხვა ცნობით, კონფლიქტს სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში 1000-მდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 60000-მდე ადამიანი კი, იძულებით გადაადგილებული გახდა. მათი უმრავლესობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ეთნიკურად ოსი იყო. მათ თავი რუსეთის ფედერაციას შეაფარეს. დევნილად იქცა სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრები 10000-მდე ეთნიკურად ქართველიც. ისინი ძირითადად საქართველოს სხვა რეგიონებში განსახლდნენ.⁵

ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, შეიარაღებული დაპირისპირებები დროდადრო ახლდებოდა, რამაც კიდევ უფრო მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და კიდევ უფრო მეტი ადამიანი აქცია დევნილად. 2008 წლის ზაფხულის დაპირისპირება სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში, 7 აგვისტოს, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. საომარმა მოქმედებებმა თბილისის მიერ კონტროლირებული სხვა ტერიტორიებიც მოიცვა, მათ შორის აფხაზეთის ის ნაწილიც, რომელსაც ომამდე საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა (კონფლიქტში ჩართულნი იყვნენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობებიც). საომარი მოქმედებების შედეგად, საქართველომ კონტროლი დაკარგა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის იმ ტერიტორიებზე, რომელსაც შეიარაღებულ დაპირისპირებამდე აკონტროლებდა. საომარი მოქმედებები 12 აგვისტოს, ევროკავშირის შუამავლობით შედგენილი ექვსპუნქტიანი შეთანხმების ხელმოწერით დასრულდა.⁶ 2008 წლის კონფლიქტმა დევნილთა ახალი ტალღა წარმოშვა;⁷ დაახლოებით 26000 ადამიანს, უმეტესად ეთნიკურად ქართველებს, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში მდებარე სოფლების დატოვება მოუწიათ.⁸ ადამიანის უფლებათა დარღვევები ჩაიდინა კონფლიქტის ყველა მხარემ.⁹ ამჟამად, ეთნიკურად ქართველები ამ ტერიტორიებზე უმეტესად გალის რაიონის (აფხაზეთი) და ახალგორის რაიონის (სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი) ტერიტორიაზე სახლობენ.

2008 წლის შეტაკებებიდან მალევე, რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა აღიარა. თუმცა, ეს ორი ტერიტორია

³ საერთაშორისო ამნისტია, ადამიანის უფლებათა საკითხები მოკლედ. EUR 56/002/1998, 1998, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.amnesty.org/en/documents/eur56/002/1998/en/>

⁴ დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლების განცხადებით, აფხაზეთის სხვა რაიონებში ეთნიკურად ქართველების დაბრუნება შეუძლებელია: ისინი ეთნიკურად ქართველებს ღალატში ადანაშაულებენ. იხილეთ საერთაშორისო ამნისტია, საქართველო: მოლოდინის რეჟიმში: იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოში, EUR 56/002/2010, 2010, 10-ე გვერდი, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.amnesty.org/en/documents/EUR56/002/2010/en/>; აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში, 2017, ხელმისაწვდომია აქ: <https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/N1712489.pdf>; გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა საქართველოში, 2009 წელი, მე-6 გვერდი, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.unhcr.org/protection/convention/4ad827f59/protection-internally-displaced-persons-georgia-gap-analysis-july-2009.html?query=Population%20Movements%20as%20a%20Consequence%20ossetian>

⁵ საერთაშორისო ამნისტია, საქართველო: მოლოდინის რეჟიმში: იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოში, EUR 56/002/2010, 2010, 10-ე გვერდი, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.amnesty.org/en/documents/EUR56/002/2010/en/>

⁶ საერთაშორისო ამნისტია, „მშვიდობიანი მოსახლეობა ცეცხლის ხაზზე: ქართულ-რუსული კონფლიქტი,“ 2008, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.amnesty.org/download/Documents/52000/eur040052008eng.pdf>

⁷ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი, „UNHCR შემფოთებულია, რადგან თავშესაფრის ადგილები გორში ამოწურულია,“ 2008, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.unhcr.org/news/latest/2008/9/48bd56044/unhcr-concern-shelter-capacity-georgia-town-gori-exhausted.html>

⁸ საერთაშორისო ამნისტია, მშვიდობიანი მოსახლეობა ომის შეგდება: ერთი წელი საქართველო-რუსეთის კონფლიქტიდან, EUR 04/001/2009, 2009, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.amnesty.org/en/documents/EUR04/001/2009/en/>

⁹ საერთაშორისო ამნისტია, „მშვიდობიანი მოსახლეობა ცეცხლის ხაზზე: ქართულ-რუსული კონფლიქტი,“ 2008, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.amnesty.org/download/Documents/52000/eur040052008eng.pdf>. 2016 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ საქართველო-რუსეთის კონფლიქტის კონტექსტში (2008 წლის 1 ივლისი-10 ოქტომბრის პერიოდი), ომისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებებზე გამოძიება დაიწყო. დასკვნა პროკურორის საგამოძიებო მოთხოვნაზე, ხელმისაწვდომია აქ: https://www.icc-cpi.int/CourtRecords/CR2016_00608.PDF

საქართველოსა და საერთაშორისო თანამეგობრობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ აღიარებული არ არის.¹⁰ რუსეთის ფედერაცია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზებს აკონტროლებს და მიიჩნევს, რომ მათი უსაფრთხოების გარანტორია. საქართველო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში რუსეთის როლს საგარეო ძალის მიერ განხორციელებულ ოკუპაციად განიხილავს.¹¹ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობები ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზებს „სახელმწიფო საზღვრად“ მიიჩნევენ, რაც მათივე შეფასებით, საქართველოს აგრესიული პოლიტიკისგან დაცვის გარანტიაა.

3.2 საერთაშორისო მექანიზმების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების დაშვებაზე არსებული შეზღუდვები

2008 წლის სამხედრო კონფლიქტის შემდეგ, პრობლემურად რჩება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში საერთაშორისო მექანიზმების დაშვებაზე არსებული შეზღუდვები. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის აღიარების შემდეგ, საქართველოში ეუთოს მისიის გაგრძელების შესახებ კონსენსუსი ვერ იქნა მიღწეული. ამის მიზეზი რუსეთის პოზიციაა, რომელიც აცხადებდა, რომ ეუთოს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ოფისები უნდა გაეხსნა სამხრეთ ოსეთსა/ცხინვალის რეგიონსა და თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე.¹² იმავე მიზეზით, 2009 წელს, რუსეთმა ვეტო დაადო საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის გაგრძელების გადაწყვეტილებას. გაეროს სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები 1993 წლიდან იმყოფებოდნენ აფხაზეთში და შეიარაღებული დაპირისპირების პრევენციაში შექონდათ წვლილი.¹³

მონიტორინგის საერთაშორისო მექანიზმების არარსებობით შექმნილი ვაკუუმის შესავსებად, 2008 წლის სექტემბერში ევროკავშირმა შეუიარაღებელი სამშვიდობო მისია - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) - შექმნა. მისიის ამოცანებია: საომარი მოქმედებების განახლების თავიდან აცილების უზრუნველყოფა; აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო და ნორმალური საცხოვრებელი პირობების აღდგენის ხელშეწყობა; კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენა; საქართველოსა და რეგიონის შესახებ ევროპული პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურების ინფორმირება.¹⁴

¹⁰ ევროკომისია, ევროპარლამენტი და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონს და აფხაზეთს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულად მიიჩნევენ. იხილეთ ევროკომისიის ანგარიში საქართველოს მიერ ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ, 2013, ხელმისაწვდომია აქ: https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/what-is-new/news/news/docs/20131115_1st_progress_report_on_the_implementation_by_georgia_of_the_apvl_en.pdf; ევროპარლამენტი, რეზოლუცია საქართველო-ევროკავშირის ასოციაციის ხელშეკრულების მოლაპარაკებების თაობაზე საბჭოს, ევროკომისიისა და საგარეო ქმედებათა სამსახურის მიერ ევროპის პარლამენტის რეკომენდაციების შესრულების შესახებ, (2011/2133(INI)), 2011, ხელმისაწვდომია აქ: <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=TA&language=EN&reference=P7-TA-2011-0514>; ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა, მონაკოს საბოლოო დეკლარაცია, რეზოლუცია საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე, 2012, ხელმისაწვდომია აქ: <http://www.oscepa.org/meetings/annual-sessions/2012-monaco-annual-session/2012-monaco-final-declaration/1683-15>; ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, საქართველო და რუსეთი: რეზოლუცია კონფლიქტითა და ომით დაზარალებულ ტერიტორიებზე არსებული ჰუმანიტარული მდგომარეობის შესახებ. რეზ.1916 (2013), 2013, ხელმისაწვდომია აქ: <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=19435&lang=en>

¹¹ საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, 2008, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/en/document/download/19132/5/en/pdf>

¹² ეუთო, ეუთოს თავმჯდომარე ნუხილს გამოთქვამს საქართველოში ეუთოს მისიის მუშაობის გაგრძელებაზე არსებულ უთანხმოებაზე, 2008, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.osce.org/cio/50525>

¹³ „საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის გაგრძელების საკითხი გაეროს უსაფრთხოების საბჭოზე მას შემდეგ ჩავარდა, რაც რუსეთის ფედერაციამ 16 ნოემბერი ოქრაციის გაგრძელებას ვეტო დაადო.“ გაეროს სიახლეები, 2009, ხელმისაწვდომია აქ: <https://news.un.org/en/story/2009/06/303512-russia-vetoes-extension-un-mission-georgia>

¹⁴ ინტერვიუ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, თბილისი, 2018 წლის მარტი; მონაცემები და ფაქტები ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესახებ, განახლებულია 2018 წელს, ხელმისაწვდომია აქ: https://eumm.eu/en/about_eumm/facts_and_figures

უსაფრთხოების, სტაბილურობისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხებზე, 2008 წელს, დაიწყო შენევის საერთაშორისო დისკუსიები, რომელსაც ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს წარმომადგენლები თანათავმჯდომარეობენ.¹⁵ შენევის საერთაშორისო დისკუსიების ფარგლებში, 2009 წლის თებერვალში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, კონფლიქტის მხარეებს შორის რეგულარულად იმართება ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები (IPRM). აღნიშნულ შეხვედრებზე, გაეროს, EUMM-ის, ეუთოს, მოსკოვის, თბილისის, სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლები კონკრეტულ ინციდენტებზე რეაგირების გზებს და მიმდინარე საკითხებს განიხილავენ.¹⁶ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში მოქმედებს „ცხელი ხაზი“ - კონფლიქტის მხარეებს შორის მოქმედი სატელეფონო კავშირის სისტემა. როგორც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აღნიშნავს, „ცხელი ხაზის“ სისტემა მონაწილეებს შორის, კონკრეტული ინციდენტების დროს განვითარებული მოვლენების შესახებ საერთო აზრის შექმნისათვის „მეტად სასარგებლო“ ინსტრუმენტია. სადამკვირვებლო მისიის მიხედვით, „ცხელი ხაზის“ მეშვეობით არაერთხელ მოხდა შესაძლო დაძაბულობის განმუხტვა.¹⁷

ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების ადგილზე საქმიანობა შეზღუდულია, როგორც გალის რაიონში (აფხაზეთი), ასევე სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში. აფხაზეთში, რამდენიმე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს; გალში ნომინალურად არის წარმოდგენილი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი. 2018 წელს, აფხაზეთის დე ფაქტო მინისტრთა კაბინეტმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც აფხაზ საჯარო მოხელეებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საზღვარგარეთ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა ეკრძალებათ. აღნიშნული გადაწყვეტილება დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს, დე ფაქტო მინისტრთა კაბინეტისთვის აფხაზეთში საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე ინფორმაციის მიწოდებას ავალდებულებდა.¹⁸ სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის კიდევ უფრო დახურულია. საერთაშორისო ამნისტიის ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე წარმოდგენილია და დაშვება აქვს მხოლოდ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს. ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ მის ტერიტორიაზე დაშვებაზე და იქ საქმიანობაზე ყველა სხვა ორგანიზაციას უთხრა უარი.¹⁹ 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ, გაეროს ყველა სააგენტომ, ფონდმა და პროგრამამ შეწყვიტა სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე საქმიანობა.²⁰

2017 წელს, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია 34/37 სახელწოდებით „თანამშრომლობა საქართველოსთან.“ რეზოლუციის თანახმად, საბჭო მოითხოვს გაეროს ადამიანის უფლებათა კომისარიატის, საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებათა მექანიზმების დაუყოვნებლივ დაშვებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში.²¹

აღსანიშნავია ისიც, რომ არსებობს საქართველოს 2008 წლის კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომელიც აწესებს შეზღუდვებს ამ რეგიონებში შესვლაზე (უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესვლა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში, დაშვებულია მხოლოდ თბილისის მიერ კონტროლირებული ტერიტორიის მხრიდან). კანონი გამონაკლისს უშვებს ჰუმანიტარულ საქმიანობაში ჩართული პირებისთვის და ათავისუფლებს მათ ამ აკრძალვისგან.²²

¹⁵ აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში, 2017, ხელმისაწვდომია აქ: <https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/N1712489.pdf>

¹⁶ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საინფორმაციო ბუკლეტი, 2018 წლის იანვარი, ხელმისაწვდომია აქ: https://www.eumm.eu/data/image_db_innova/EUMM%20Factsheet%20ENG%202018%20JAN.pdf

¹⁷ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საინფორმაციო ბუკლეტი, 2018 წლის იანვარი, ხელმისაწვდომია აქ: https://www.eumm.eu/data/image_db_innova/EUMM%20Factsheet%20ENG%202018%20JAN.pdf

¹⁸ აფხაზეთის დე ფაქტო მინისტრთა კაბინეტის ოფიციალური ვებგვერდი (რუსულად), „გენადი გაგულიამ ასობით ბრძანება გამოსცა“, 2018, ხელმისაწვდომია აქ: <https://km-ra.org/news/gennadiy-gaguliya-otdal-svyshe-sta-porucheni.html>

¹⁹ ინტერვიუები გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის თანამშრომლებთან, თბილისი, 2018

²⁰ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა 2008 წლის შემდეგ მხოლოდ ერთხელ მოახერხა სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში შესვლა. იხილეთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის ანგარიში საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ, A/HRC/36/65, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.right-docs.org/download/69131/>

²¹ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია „თანამშრომლობა საქართველოსთან“, 2017, ხელმისაწვდომია აქ: <https://daccess-ods.un.org/TMP/680517.852306366.html>

²² საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, 2008, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/en/document/download/19132/5/en/pdf>

4. საერთაშორისო სამართალი

ამ ანგარიშში ასახულ დარღვევებზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ვრცელდება. საერთაშორისო ამნისტიამ კვლევის განხორციელებისას და რეკომენდაციების შემუშავებისას სწორედ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ვალდებულებებით იხელმძღვანელა.

4.1 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი

საქართველო და რუსეთი ადამიანის უფლებების შესახებ დადებული რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არიან; მათ შორისაა, საერთაშორისო კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR), საერთაშორისო კონვენცია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (ICESCR), და კონვენცია წამებისა და სხვა ნებისმიერი სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან სასჯელის წინააღმდეგ. საქართველო და რუსეთი ადამიანის უფლებათა რეგიონული ხელშეკრულების მონაწილე მხარეებიც არიან; მათ შორისაა, ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების შესახებ (ECHR) და ევროპის სოციალური ქარტია. აღნიშნული საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებები, ისევე როგორც შესაბამისი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი, ორივე სახელმწიფოს (და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობებს) აკისრებს სამართლებრივ ვალდებულებას, მიიღონ ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატივისცემისთვის საჭირო ზომები.

საერთაშორისო ამნისტიის შეფასებით, ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე ეფექტურ კონტროლს ორივე - სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის - მიმართულებით რუსეთის ფედერაცია ახორციელებს. 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, სამხრეთ ოსეთზე/ცხინვალის რეგიონზე და აფხაზეთზე საერთო ეფექტური კონტროლი რუსეთის ფედერაციას აქვს. რუსეთი და დე ფაქტო მთავრობები უარყოფენ, რომ რუსეთი ამ ორ ტერიტორიაზე ეფექტურ კონტროლს ახორციელებს.²³

მიუხედავად ამისა, რეგიონში რუსეთის სამხედრო ყოფნა უტყუარია. საქართველოს ხელისუფლების მიხედვით, რუსეთს სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში სამი სამხედრო ბაზა აქვს (ქალაქებში ჭავა, ცხინვალი და ახალგორი) და მესაზღვრეთა 19 გასამხედროებული ბაზა ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მდებარე სოფლების

²³ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინის სტატია ჟურნალში *Международная жизнь*, 2012, ხელმისაწვდომია აქ: http://www.mid.ru/press_service/deputy_ministers_speeches/-/asset_publisher/O3publba0Cjv/content/id/143554; იხილეთ საქმე "რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის" შესახებ (საქართველო-რუსეთის წინააღმდეგ), დროებითი ზომების მიღების მოთხოვნა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო - 2008 წლის 15 ოქტომბერი, 33-ე პარაგრაფი, მე-10 გვერდი

სიახლოვეს (საქართველოს ხელისუფლება მათ, როგორც „ნახევრად-სამხედრო“ ინფრასტრუქტურას ისე მოიხსნიებს). რაც შეეხება აფხაზეთს, რუსეთს აქ გუდაუთაში აქვს სამხედრო ბაზა, საპორტო ინფრასტრუქტურა ოჩამჩირეში და მესაზღვრეთა 12 გასამხედროებული ბაზა ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მდებარე სოფლების სიახლოვეს. რუსული სამხედრო ძალები რეგულარულად იყენებენ ნებელდისა და ნაგავალუს სამხედრო პოლიგონებსაც.²⁴

არსებობს რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონს შორის დადებული რამდენიმე ხელშეკრულება, რომელიც ამ ტერიტორიებზე რუსეთის სამხედრო ყოფნას აძლიერებს,²⁵ ქმნის ერთიან სამხედრო სარდლობას რუსეთსა და აფხაზეთს შორის,²⁶ ახდენს სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონის სამხედრო ძალების რუსეთის შეიარაღებულ ძალებში ინკორპორირებას²⁷ და რუსეთის სასაზღვრო ძალებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზების გასწვრივ უსაფრთხოების დაცვის უფლებას აძლევს.²⁸ ეს ფუნქცია, ძირითადად რუსეთის ფედერალური სამსახურის სასაზღვრო დეპარტამენტის (FSB, Пограничная служба ФСБ России) მიერ ხორციელდება, რუსეთიდან ჩამოსული მოსამსახურეების მეშვეობით.²⁹ გალისა და ახალგორის რაიონის მცხოვრებლებმა, რომლებიც ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზს რეგულარულად კვეთენ, საერთაშორისო ამნისტიას განუცხადეს, რომ გადასასვლელებზე და ოდენისტრაციული სასაზღვრო ხაზის საპატრულო მონაკვეთებზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონის მოსამსახურეებიც არიან განლაგებულები, თუმცა მათი რაოდენობა და გავლენა, FSB-ს ოფიცრებთან შედარებით მეორეხარისხოვანია.

ამასთანავე, მოსკოვი თითქმის სრულად აფინანსებს სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონის³⁰ ბიუჯეტს და აფხაზეთის ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს,³¹ გასცემს პენსიებს სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონსა³² და აფხაზეთში³³ მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებზე და გავლენას ახდენს საჯარო ადმინისტრირების სხვა კომპონენტებზე. სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის მცხოვრებთა დაახლოებით 90%-ს რუსეთის მოქალაქეობა აქვს.³⁴ დე ფაქტო მთავრობების და ამ ტერიტორიების მოსახლეობის თქმით, რუსეთის მოქალაქეობა მათ გადაადგილების და სხვა უფლებებით სარგებლობის საშუალებას აძლევს, რისი შესაძლებლობაც - მათივე თქმით - მათ მიმართ

²⁴ საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 2018 წლის მარტი; ინფორმაციას რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ნებელდისა და ნაგავალუს პოლიგონების გამოყენების შესახებ ადასტურებს რუსეთის თავდაცვის სამინისტრო (რუსულად), „აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ბაზის მოსამსახურეებმა საცეცხლე მომზადების ათზე მეტი ტექნიკური წვრთნა გაიარეს,“ რუსეთის თავდაცვის სამინისტრო, 2018, ხელმისაწვდომია აქ https://function.mil.ru/news_page/country/more.htm?id=12201878@egNews. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიხედვით, 2018 წლის ოქტომბრის მონაცემებით, სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში 19 რუსული სასაზღვრო ბაზა იყო, იგივე რაოდენობაა დაფიქსირებული აფხაზეთშიც. იხილეთ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა, 2018 წლის ოქტომბერი, ხელმისაწვდომია აქ: https://eumm.eu/data/file/6486/The_EUMM_Monitor_issue_7_ENG.pdf

²⁵ მე-5 მუხლი, სამხრეთ ოსეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის დადებული ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების შესახებ (რუსულად), ხელმისაწვდომია აქ: <http://www.mfa-rso.su/node/305>; მე-5 მუხლი, აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის დადებული ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების შესახებ (რუსულად), ხელმისაწვდომია აქ: <http://presidentofabkhazia.org/upload/iblock/596/z4.pdf>

²⁶ მე-5 მუხლი, აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის დადებული ხელშეკრულება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ (რუსულად), ხელმისაწვდომია აქ: <http://presidentofabkhazia.org/upload/iblock/47f/z8.pdf>

²⁷ მე-5 მუხლი, სამხრეთ ოსეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის დადებული ხელშეკრულება მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ (რუსულად), ხელმისაწვდომია აქ: <http://www.mfa-rso.su/node/1289>

²⁸ შეთანხმება რუსეთის ფედერაციასთან აფხაზეთის საზღვრის დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ (რუსულად), ხელმისაწვდომია აქ: <http://presidentofabkhazia.org/upload/iblock/8fa/z16.pdf>; შეთანხმება რუსეთის ფედერაციასთან სამხრეთ ოსეთის საზღვრის დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ (რუსულად), ხელმისაწვდომია აქ: <http://www.mfa-rso.su/node/1204>

²⁹ პირველი მუხლი, შეთანხმება რუსეთის ფედერაციასთან სამხრეთ ოსეთის საზღვრის დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ (რუსულად), სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2009, ხელმისაწვდომია აქ: <http://www.mfa-rso.su/node/1204>; პირველი მუხლი, შეთანხმება რუსეთის ფედერაციასთან აფხაზეთის საზღვრის დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ (რუსულად), აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი, 2009, ხელმისაწვდომია აქ: <http://presidentofabkhazia.org/upload/iblock/8fa/z16.pdf>

³⁰ პირველი მუხლი, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო კანონი 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, 2018 (რუსულად), ხელმისაწვდომია აქ: <http://www.parliamentso.org/node/1663>

³¹ მე-2 მუხლი, აფხაზეთის დე ფაქტო კანონი 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, 2018 (რუსულად), ხელმისაწვდომია აქ: http://www.gazeta-ra.info/index.php?ELEMENT_ID=16607

³² მე-5 მუხლი, სამხრეთ ოსეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის დადებული ხელშეკრულება მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ (რუსულად), ხელმისაწვდომია აქ: <http://www.mfa-rso.su/node/1289>

³³ მე-15 მუხლი, აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის დადებული ხელშეკრულება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ (რუსულად), ხელმისაწვდომია აქ: <http://presidentofabkhazia.org/upload/iblock/47f/z8.pdf>

³⁴ ამერიკის კონგრესის ანგარიშები, რუსეთის ფედერაცია: საქართველოში ომის იურიდიული ასპექტები, 2008-01474, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.loc.gov/law/help/russian-georgia-war.pdf>; ორგანიზაცია Freedom House, აფხაზეთი, 2014, ხელმისაწვდომია აქ: <https://freedomhouse.org/report/freedom-world/2014/abkhazia>

განხორციელებული საერთაშორისო იზოლაციის პოლიტიკის გამო შეზღუდული ექნებოდათ.³⁵

ადამიანის უფლებების პატივისცემის, დაცვისა და ხელშეწყობის ვალდებულება უპირველესად სახელმწიფოებს აქვთ. თუმცა, ადამიანის უფლებების პატივისცემის ვალდებულება სხვა აქტორებსაც და ერთეულებსაც გააჩნიათ, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ ინდივიდების მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობაზე პირდაპირი გავლენა აქვთ.

რადგან სამხრეთ ოსეთზე/ცხინვალის რეგიონზე და აფხაზეთზე საერთო ეფექტური კონტროლი რუსეთის ფედერაციას აქვს, მას პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ეკისრება, რომელიც რატიფიცირებული აქვს. რუსეთი პასუხისმგებელია იმ დარღვევებზე, რომელიც უშუალოდ მისი ძალების მიერ განხორციელდა და იმ დარღვევებზეც, რომელიც დე ფაქტო მთავრობების მიერ მოხდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2012 წელს დაადგინა, რომ რუსეთი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ყველა იმ დარღვევაზე პასუხისმგებელია, რომელიც დნესტრისპირეთის სეპარატისტულმა მთავრობამ ჩაიდინა. კერძოდ, სასამართლომ თქვა, რომ:

არ არის აუცილებელი დადგინდეს ჰქონდა თუ არა რუსეთს სრული კონტროლი მის დაქვემდებარებაში მყოფი ადგილობრივი ადმინისტრაციის პოლიტიკაზე და ქმედებებზე. რუსეთის მიერ დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკისადმი განეული ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერის გამო, რომლის გარეშეც ის ვერ იარსებებდა, რუსეთს განმცხადებლის უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებლობა ეკისრება.³⁶

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ აქვს სამხრეთ ოსეთსა/ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთზე ეფექტური კონტროლი, საერთაშორისო სამართლით მას მაინც აქვს ამ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სხვა მსგავს საქმეებზე თქვა, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც ტერიტორიის ნაწილზე სახელმწიფოს კონტროლი იზღუდება, მათ შორის სახელმწიფოს მთლიანი ან ნაწილობრივი სამხედრო ოკუპაციის ან ეფექტური კონტროლის სხვაგვარი დაკარგვის გამო, როგორცაა სხვა ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე სეპარატისტული სახელმწიფოს შექმნის მხარდაჭერა.³⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, ასეთ შემთხვევებში, სახელმწიფო (საქართველო) მაინც რჩება პასუხისმგებლად, რომ მიიღოს მის ხელთ არსებული ყველა ზომა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. საქართველოს ასევე აქვს ვალდებულება უზრუნველყოს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვა თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, მათ შორის მათი ვინც ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ახლოს ან მიმდებარედ ცხოვრობს.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობებმა პატივი უნდა სცენ მათ მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიებს, საერთაშორისო სამართლით, ფართო აღიარება არ აქვთ და შესაბამისად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ხელშეკრულებების მონაწილე მხარეები არ არიან, მათ მაინც უნდა შეიკავონ თავი ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებებში ჩარევისგან. ეს ადამიანები მათ უფლებებში დე ფაქტო მთავრობების მიერ ჩარევისგან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლითაც არიან დაცულნი (დეტალები იხილეთ ქვემოთ).

³⁵ აფხაზეთის საქველმოქმედო ორგანიზაციის განცხადება ეუთო-ს ადამიანური განზომილების შეხვედრაზე, 2013, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.osce.org/odihr/106766?download=true>

³⁶ კატანი და სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (განაცხადის ნომერი 43370/04, 8252/05 and 18454/06), 2012, ხელმისაწვდომია აქ: <http://hudoc.echr.coe.int/app/conversion/pdf/?library=ECHR&id=001-114082&filename=001-114082.pdf>

³⁷ ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (განაცხადის ნომერი 48787/99), 1999; ისა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (განაცხადის ნომერი 31821/96), 2004

რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების ძალების სასაზღვრო ბაზა
სატელიტურ ფოტოზე, სოფელი ორჭოსანი, სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის
რეგიონი



4.2 საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

რუსეთს სამხრეთ ოსეთსა/ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში არსებულ ვითარებაზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალითაც ეკისრება ვალდებულებები, რადგან მისი როლი ამ ტერიტორიებზე სამხედრო ოკუპაციის განმარტებაში ჯდება.

ჰააგის რეგულაციების 42-ე მუხლის მიხედვით, „ტერიტორია მიიჩნევა ოკუპირებულად თუ მასზე კონტროლი მოწინააღმდეგე ძალამ დაამყარა.“³⁸ ამ ტერმინის კონკრეტულ მაგალითებზე გამოყენებისას, „ეფექტური კონტროლის“ ცნების განმარტებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს. „ეფექტური კონტროლის“ ძირითადი მახასიათებლებია: სხვა ქვეყნის ძალების მიერ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება და განხორციელება; ოკუპირებულ ტერიტორიაზე მმართველობის განხორციელების უნარი, და ამ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის მქონე ქვეყნის ნების საწინააღმდეგოდ ყოფნა.

რუსეთის ფედერაცია სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე მის სამხედრო ყოფნას საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციად არ მიიჩნევს. რუსეთი აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან და რუსეთის სამხედრო ძალები ამ პოლიტიკურ ერთეულებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე არიან განლაგებული.³⁹

რუსეთის სამხედრო ძალები სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს თანხმობის გარეშე 2008 წლის შემდეგ იმყოფებიან. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ ტერიტორიებზე რუსეთს საერთო ეფექტური კონტროლი აქვს, მათ შორის, ადმინისტრაციულ სასახლევრო ხაზებზე, და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი საერთაშორისო საჯარო სამართლით ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიაა, ვითარება შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც სამხედრო ოკუპაცია. საერთაშორისო ამნისტია არ გამოხატავს აზრს ტერიტორიული და პოლიტიკური დავების გადაწყვეტის გზების შესახებ; ის მხოლოდ მოუწოდებს დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვისკენ. საერთაშორისო ამნისტია მიიჩნევს, რომ ოკუპაციის სამართლით, რუსეთს როგორც ოკუპანტ ძალას სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში, ამ ტერიტორიების მოსახლეობის მიმართ გარკვეული ვალდებულებები აქვს.

ოკუპანტი ძალის ქცევის წესები, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობის მოპყრობის წესები, გაწერილია 1907 წლის ჰააგის რეგულაციებში (მუხლები 42-46), 1949 წლის ჟენევის IV კონვენციაში და მის I დამატებით ოქმში, რომელთა მონაწილე მხარეც რუსეთია, ასევე ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით.⁴⁰

³⁸ ჰააგის რეგულაციები, 1907

³⁹ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინის სტატია ჟურნალში *Международная жизнь*, 2012, ხელმისაწვდომია აქ: http://www.mid.ru/press_service/deputy_ministers_speeches/-/asset_publisher/O3publba0Cjv/content/id/143554; იხილეთ საქმე „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის“ შესახებ (საქართველო-რუსეთის წინააღმდეგ), დროებითი ზომების მიღების მოთხოვნა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო - 2008 წლის 15 ოქტომბერი, 33-ე პარაგრაფი, მე-10 გვერდი

⁴⁰ რუსეთი არის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელოვანი დოკუმენტების, მათ შორის ჟენევის I-IV კონვენციების, კონვენციების I-II დამატებითი ოქმების და ჰააგის 1907 წლის კონვენციის მონაწილე მხარე. იხილეთ ხელშეკრულებები, მონაწილე სახელმწიფოები და კომენტარები, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, ხელმისაწვდომია აქ: https://ihl-databases.icrc.org/applic/ihl/ihl.nsf/vwTreatiesByCountrySelected.xsp?xp_countrySelected=RU

5. „ბორდერიზაცია“ და მისი გავლენა გადაადგილების თავისუფლებაზე

„რუსი სამხედროები სახლში მოვიდნენ და მითხრეს, რომ დღეიდან ეს საქართველო აღარაა. იმ დღესვე ჩემს ებოში მავთულხლართების გაბმა დაიწყო. დანარჩენ სოფელსა და ქვეყანას მოვწყდი.“

85 წლის დავით ვანიშვილი (ფოტო გამოსახულია ყდაზე) სოფელი ხურვალეთიდან განმარტავს, თუ როგორ დააშორა „ბორდერიზაციამ“ დანარჩენ სოფელს, მეზობლებსა და ნათესავებს. მისი სახლი და ეზო სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ ხაზს მიღმა მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც იქ რუსმა ოფიცრებმა 2013 წელს „ბორდერიზაციის“ პროცესი დაიწყეს.

2013 წელს, რუსმა ოფიცრებმა, რომლებიც სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონს და თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიას შორის ფიზიკურ ბარიერებს აგებდნენ, სოფელ ხურვალეთში მცხოვრები 85 წლის დავით ვანიშვილი მძიმე არჩევანის წინაშე დააყენეს. ვანიშვილს არჩევანის გაკეთება საკუთარ სახლში, სეპარატისტულ ტერიტორიაზე დარჩენასა და თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, დარჩენილი ცხოვრების დევილობაში გატარებას შორის მოუხდა. მან დარჩენა გადაწყვიტა და ახლა ოჯახის სხვა წევრებისგან და მეგობრებისგან მავთულხლართებითაა დაშორებული. დაკავების საფრთხის ქვეშ მყოფი, ის და მისი მეუღლე ნათესავებისა და მეზობლების იმედად ცხოვრობენ, რომლებიც პენსიას, სამედიცინო დახმარებასა და სხვა ნივთებს მალულად, ღობიდან აწვდიან. მადლიერების ნიშნად, დავით ვანიშვილი მათი გარდაცვლილი ნათესავების საფლავებს უვლის, რომელიც მისი სახლის მსგავსად, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიღმა აღმოჩნდა.

დავით ვანიშვილის მსგავსად, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებები ყოველდღიურად ირღვევა; ადგილობრივები ვერ ახერხებენ ნათესავების მონახულებას, კარგავენ შემოსავლის წყაროებსა და კულტურული და სოციალური ცხოვრების შესაძლებლობას. ადგილობრივებს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მიახლოებისას ხშირად აკავებენ. გადაადგილების უფლების შეზღუდვა უარყოფითად აისახება მათ სხვა უფლებებზეც; შეზღუდვები აუარესებს მათი ცხოვრების სტანდარტს, უზღუდავს წვდომას სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, ჯანდაცვაზე, რელიგიურ ნაგებობებზე და განათლებაზე, და აღრმავებს დისკრიმინაციულ მიდგომებსა და ზომებს.

ადამიანის უფლებათა დარღვევების უმრავლესობა, რომლებსაც დავით ვანიშვილი და სხვა ადგილობრივები აწყდებიან, სწორედ „ბორდერიზაციის“ პროცესის პირდაპირი შედეგია, პროცესისა - რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ განხორციელდა და არარსებული ხაზები ფიზიკურ ბარიერებად აქცია. „ბორდერიზაციის“ პროცესი, რუსეთის უსაფრთხოების სამსახურმა და დე ფაქტო მთავრობების წარმომადგენლებმა 2009 წელს დაიწყეს და მიზნად ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის „საერთაშორისო საზღვრად“ გადაქცევა დაისახეს, მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლად აღიარების კვალდაკვალ. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის თანახმად, „ბორდერიზაცია“ სამ ძირითად ელემენტს მოიცავს: „ (1) ფიზიკური ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა აიძულონ გადააგილები მსურველებს, სატრანსპორტო საშუალებებსა და ტვირთის გადაზიდვებს, ისარგებლონ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე დაწესებული სპეციალური „კონტროლირებადი გადაკვეთის პუნქტებით;“ (2) რუსი მესაზღვრეების ან თვითგამოცხადებული რეგიონების უშიშროების სტრუქტურების წარმომადგენლების მიერ თვალთვალი და პატრულირება, რომლებიც თვალყურს ადევნებენ სიტუაციას და აკავებენ დადგენილი „წესების“ დამრღვევ პირებს; (3) გადაკვეთის რეჟიმი, რომელიც მგზავრებს ავალებს იქონიონ სპეციალური საბუთები და გამოიყენონ მხოლოდ „ოფიციალური“ გადაკვეთის პუნქტები.“⁴¹

საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი სასოფლო-სამეურნეო მიწაზე, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე. გაფრთხილება „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ ინგლისურ და ქართულ ენებზე. ბანერის უკან ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მომნიშვნელი თხრილები ჩანს.



„ბორდერიზაციის“ პროცესის ფარგლებში ავლებენ მავთულხლართებს, აწყობენ ლითონის ან ხის ღობეებს, გაჰყავთ თხრილები და ხანძარსაწინააღმდეგო ხნულები, და აწყობენ „საზღვრის“ აღმნიშვნელ ნიშნებსა და სათვალთვალო ინფრასტრუქტურას. საქართველოს ხელისუფლების თანახმად, „ბორდერიზაციის“ პროცესი 2013 წლის შემდეგ გააქტიურდა, მას შემდეგ რაც რუსმა სამხედროებმა ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე მავთულხლართების გავლება დაიწყეს და თბილისის მიერ მანამდე კონტროლირებული ტერიტორიები დაიკავეს.

⁴¹ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა, 2018 წლის ოქტომბერი, ხელმისაწვდომია აქ: https://eumm.eu/data/file/6486/The_EUMM_Monitor_issue_7_ENG.pdf

საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო ამნისტიას მოახსენა, რომ 2018 წლის ბოლოსთვის, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრებს ფიზიკური ბარიერები 34 სოფელში ჰქონდათ გავლებული,⁴² რამაც ადგილობრივებს ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მახლობლად მდებარე „კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე“ წვდომა დააკარგინა; მათ შორის, სახნავ-სათეს მიწებზე, საძოვრებზე, წყლის რესურსებზე და სოფლის სასაფლაოებზე. საქართველოს ხელისუფლების შეფასებით, „ბორდერიზაციის“ პროცესის გამო ასობით გლეხმა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე წვდომა დაკარგა;⁴³ ღობემ გაიარა სულ მცირე 20 ოჯახის საკარმიდამო ნაკვეთში.⁴⁴ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მდებარე სულ მცირე ორ სოფელში - დვანში და ხურვალეთში - „ბორდერიზაციის“ შედეგად ადგილობრივები თბილისის მიერ კონტროლირებული ტერიტორიის მიღმა აღმოჩნდნენ.⁴⁵ სოფელ დვანში „ბორდერიზაციის“ გამო სამი ოჯახი იძულებული გახდა გადასახლებულიყო; ოჯახებს სახლების დაშლა და სამშენებლო მასალის თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე ახალი საცხოვრებლის ასაშენებლად გადატანა მოუხდათ.⁴⁶

ადგილობრივ მოსახლეობაში უსაფრთხოების არქონის ზოგად განცდას ისიც ქმნის, რომ არსებობს გაურკვევლობა და ინფორმაციის ნაკლებობა მცოცავი „საზღვრების“ შესახებ, რადგან სხვადასხვა რუკები გამოიყენება და ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მხოლოდ ნაწილია მონიშნული. შედეგად, ხშირია შემთხვევები, როცა რუსი ოფიცრები ან დე ფაქტო უსაფრთხოების აქტორები „სახელმწიფო საზღვრის“ დარღვევის ბრალდებით ისე აკავებენ ადამიანებს, რომ დაკავებულებმა არც კი იციან სად გადის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზი.

⁴² სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - ნიქოზი, გუგუტიანთკარი, დვანი, ქვემო ხვითი, დიცი, მერეთი, დირბი, ბერშუეთი, მეჭვრისხევი, თვაურები, საკორინთლო, ერგნეთი, ლოლეთი, კოდა, ქვეში, ჯარიაშენი, ზარდიანთკარი, კოშკა, აძვი, ციცაგიანთკარი, ახრისი, კირბალი, ახალუბანი, კნოლევი, ავლევი, წითელუბანი, ატოცი და ცერონისი; აფხაზეთის მიმართულებით - განმუხური, ორსანტია, ხურჩა, შამგონა და ფახულანი

⁴³ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 2018 წლის მარტი

⁴⁴ 2014 წლის მონაცემები; საქართველოს ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ამნისტიისთვის 2018 წელს მოწოდებული ინფორმაცია

⁴⁵ საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლებმა დვანსა და ხურვალეთში, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიღმა დარჩენილი, მავთულხლართებით გაყოფილი საცხოვრებელი სახლები და ეზოები იხილეს. საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლებს უამბო, რომ მსგავსი რამ მოხდა აფხაზეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან, სოფელ ფახულანში. სახალხო დამცველის განმარტებით, ფახულანში მავთულხლართების გავლების შემდეგ ერთმა ოჯახმა სახლზე და საკარმიდამო მიწაზე წვდომა დაკარგა.

⁴⁶ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ დვანელებთან, 2018 წლის მარტი

სოფელი დვანი მავთულხლართებითაა გაყოფილი. სამი სახლი, 2013 წელს დაწყებული „ბორდერიზაციის“ პროცესის შედეგად, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მხარეს აღმოჩნდა. ოჯახებს საცხოვრებელი ადგილების დატოვება მოუხდათ.



5.1 სეკურიტიზაცია და ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მდებარეობა

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიხედვით, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ფიზიკური „ბორდერიზაცია“ მოიცავს „60 კილომეტრზე მეტ სიგრძეზე გაჭიმულ უსაფრთხოების ღობეებს, 20 კილომეტრზე განთავსებულ სათვალთვალ ტექნიკას, 200-ზე მეტ ნიშანს წარწერით „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვარი,“ რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეების 19 ბაზასა და ოთხ კონტროლირებად გადაკვეთის პუნქტს.“ აფხაზეთის მიმართულებით ფიზიკური „ბორდერიზაცია“ მოიცავს „30 კილომეტრზე მეტ სიგრძეზე გაჭიმულ ღობეებს, სამეთვალყურეო კომპლექსებს, საიდანაც ადმინისტრაციული საზღვრის დაახლოებით 25 კილომეტრიანი მონაკვეთი კონტროლდება, რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეთა 19 ბაზასა და ორ კონტროლირებად გადაკვეთის პუნქტს.“⁴⁷

⁴⁷ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა, 2018 წლის ოქტომბერი, ხელმისაწვდომია აქ: https://eumm.eu/data/file/6486/The_EUMM_Monitor_issue_7_ENG.pdf

მავთულხლართები და „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერი სოფელ ხურვალეთთან. მარტვილი, რუსეთის FSB-ს სასაზღვრო ბაზა და სამეთვალყურეო კოშკურა მონანს.



საქართველოს ხელისუფლების ცნობით, 2018 წლის მარტში სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მიმართულებით გავლებული მავთულხლართებისა და სხვა ფიზიკური ბარიერების სიგრძე 52 კილომეტრს აღემატებოდა (ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის სრული სიგრძე 350 კილომეტრია). აფხაზეთის მიმართულებით კი, ფიზიკური „ბორდერიზაციის“ სიგრძე 49 კილომეტრს აღწევდა (ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის სრული სიგრძე 145 კილომეტრია).⁴⁸ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მონიშნული მონაკვეთები ძირითადად სამხრეთ ნაწილშია,⁴⁹ სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს.

„ბორდერიზაციის“ პროცესი და „საზღვრის“ ზუსტი მდებარეობა სადავო საკითხად რჩება. საქართველოს ხელისუფლება და საერთაშორისო თანამეგობრობის უდიდესი ნაწილი „ბორდერიზაციის“ პროცესს უკანონოდ მიიჩნევენ. საქართველოს მთავრობის ოფიციალური პოზიციით, თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიასა და ერთი მხრივ, სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონს და მეორე მხრივ, აფხაზეთს შორის სახელმწიფო საზღვარი ვერ იქნება, რადგან ეს ტერიტორიები საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენს და ქვეყნების უმრავლესობის და გაეროს მიერ აღიარებული არ არის. საქართველოს ხელისუფლება თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებსა და რუსეთის სამხედრო ძალების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებს შორის გამყოფ ხაზს - ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზს - საოკუპაციო ხაზად მოიხსენიებს. რუსეთის ხელისუფლება და დე ფაქტო მთავრობები კი, ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზს საერთაშორისო საზღვრად მიიჩნევენ, რუსეთის მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარების საფუძველზე.

ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მონიშვნის და მის „საერთაშორისო საზღვრად“ გადაქცევის პროცესში, რუსეთი და დე ფაქტო მთავრობები ძირითადად იმ ადმინისტრაციულ საზღვრებს მისდევენ, რა საზღვრებშიც ეს ავტონომიური ერთეულები

⁴⁸ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მონოღებული ინფორმაცია, 2018 წლის მარტი
⁴⁹ საერთაშორისო ამნისტიის ვიზიტი სამხრეთ ოსეთის/ ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან, 2018 წლის მარტი; ინტერვიუ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთან, 2018 წლის მარტი.

საბჭოთა კავშირის დროს შედიოდნენ.⁵⁰ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ პროცესი უკანონოა, რადგან იქ საერთაშორისოდ აღიარებული საზღვარი არ არსებობს, და თვითნებურია, რადგან, მათივე თქმით, რუსეთი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იმ რუკებს იყენებს, რომელიც მისთვის ყველაზე მეტად ხელსაყრელია.⁵¹ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრეს, რომ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობა ზოგჯერ 1922 წლის რუკაზეც აპელირებს, რომელიც ზოგიერთ ადგილას თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე უფრო ღრმად შემოდის.⁵² საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრეს, რომ ზოგჯერ „ბორდერიზაცია“ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ტერიტორიას სცდება და რამდენიმე კილომეტრით წინ, თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, შემოდის.

სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ „სახელმწიფო საზღვრის“ საკითხზე საქართველოს ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად მზად არიან.⁵³ თუმცა, საქართველოს ხელისუფლება მოლაპარაკებებში ჩართვაზე უარს აცხადებს, რადგან ის სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობას არ აღიარებს და „ბორდერიზაციის“ პროცესს უკანონოდ მიიჩნევს.⁵⁴

მცოცავი „საზღვრის“ შესახებ არსებული ასეთი ბუნდოვანება და ინფორმაციის ნაკლებობა, ადგილობრივ მოსახლეობაში საფრთხის ზოგად აღქმას ზრდის, რადგან იქ მცხოვრებ ადამიანებს „სახელმწიფო საზღვრის“ გადაკვეთისთვის ხშირად ისე აკავებენ,⁵⁵ რომ ამ უკანასკნელებმა ამ ხაზის არსებობის შესახებ არაფერი იციან (ადმინისტრაციული საზღვრის მხოლოდ ნაწილია მონიშნული). ადგილობრივი მოსახლეობა ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზს სხვადასხვა მიზეზებით ორივე მხარეს კვეთს - მიწის დასამუშავებლად, სავაჭროდ, ნათესავების სანახავად, სამედიცინო მომსახურების მისაღებად, სწავლასთან დაკავშირებით, სოციალური დახმარების მისაღებად, საფლავებისა და ეკლესიების მოსანახულებლად. გადასასვლელების გვერდის ავლით და შესაბამისი საბუთების გარეშე მიმოსვლას (დოკუმენტაციის მიღება რთულია) რუსეთი და დე ფაქტო მთავრობები უკანონოდ მიიჩნევენ. მოსახლეობა ხშირად გადასასვლელების გვერდის ავლით, რისკის ფასად გადაკვეთს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზს. გადასასვლელების გამოყენებისასაც კი, ადამიანები მესაზღვრეების კეთილ ნებაზე არიან დამოკიდებული და რთულ ბიუროკრატიულ პროცედურებს აწყდებიან.⁵⁶ ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მახლობლად, თბილისის მიერ კონტროლირებულ მხარეს მცხოვრებმა ბევრმა ოჯახმა „ბორდერიზაციის“ გამო საარსებო წყაროც დაკარგა.⁵⁷

5.2 „ბორდერიზაციის“ რეჟიმები

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების დაცვაზე მთავარი პასუხისმგებელი ძალა რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო სამსახურია;⁵⁸ რუსი ოფიცრები „საზღვარზე“ რეგულარულად პატრულირებენ.⁵⁹ ქართველი პოლიციელები კი, ტერიტორიაზე რეგულარულად არ პატრულირებენ; პოლიციელები ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე მხოლოდ უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირებისას პატრულირებენ. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების

⁵⁰ ინტერვიუ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, 2018 წლის მარტი; ინტერვიუ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთან, 2018 წლის მარტი; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდნენ.

⁵¹ საქართველოს ხელისუფლების ცნობით, რუსები საბჭოთა კავშირის სამხედრო შტაბის შედგენილ ორ - 1984 წლის და 1987 წლის - რუკებს იყენებენ. ამ ორს შორის განსხვავება სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მიმართულებით დაახლოებით 10%-ია

⁵² ინტერვიუ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, 2018 წლის მარტი

⁵³ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს სიახლეების სააგენტო (რუსულად), „საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ ოსეთს უსაფუძვლო ბრალდებებს უყენებს“, 2018, ხელმისაწვდომია რუსულ ენაზე <http://south-ossetia.info/gruzinskiy-vlasti-v-sredstvax-massovoj-informacii-vydvigayut-protiv-yuzhnoj-osetii-neobosnovannye-obviniya/>

⁵⁴ ინტერვიუ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთან, 2018 წლის მარტი

⁵⁵ ინტერვიუ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთან, 2018 წლის მარტი

⁵⁶ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მცხოვრებლებთან, 2018 წლის მარტი

⁵⁷ იხილეთ ამ ანგარიშის მე-7 თავი

⁵⁸ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა, 2018 წლის ოქტომბერი, ხელმისაწვდომია აქ: https://eumm.eu/data/file/6486/The_EUMM_Monitor_issue_7_ENG.pdf

⁵⁹ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა, 2018 წლის ოქტომბერი, ხელმისაწვდომია აქ: https://eumm.eu/data/file/6486/The_EUMM_Monitor_issue_7_ENG.pdf

განცხადებით, მათ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე სამხედრო ძალები განლაგებული არ ჰყავთ.⁶⁰

რუს ოფიცრებსა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლებს მიმოსვლის ორი რეჟიმი აქვთ დაწესებული - ტერიტორიებისთვის, რომლებიც ეთნიკურად ქართველებს 2008 წელს იძულებით დაატოვებინეს⁶¹ და ახალგორის რაიონის მოსახლეობისთვის, რომლის უდიდეს ნაწილსაც 2008 წლამდე საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა და სადაც ეთნიკურად ქართველები ჯერ კიდევ სახლობენ. ახალგორელებს მიმოსვლა რუსეთის FSB-ს და სამხრეთ ოსეთის ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი გადასასვლელის გავლით და დე ფაქტო მთავრობის მიერ გაცემული „პროპუსკის“ მეშვეობით შეუძლიათ. ახალგორელმა რესპონდენტებმა საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლებს უთხრეს, რომ რუსეთის FSB და დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლები ღამით გადასასვლელს კეტავენ. გადაადგილების მსურველები გადასასვლელზე უსაფრთხოების შემოწმებას და დაკითხვას გადიან. ხშირია არაფორმალური „გადასახადების“ მოთხოვნის შემთხვევებიც. ეთნიკურად ქართველებმა, რომელთა საცხოვრებელი ადგილებიც სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის სხვა რაიონებში იყო, საკუთრება სრულად დაკარგეს და ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე გადაადგილება არ შეუძლიათ.⁶²

მავთულხლართები სოფელ ხურვალეთში. ქართველი პოლიციელები საერთაშორისო ამნისტიის ვიზიტისას ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან პატრულირებენ



ამუამად, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მხრიდან ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთა მხოლოდ ახალგორის რაიონის მოსახლეობას შეუძლია (მოსაბრუნო-ოძისის გადასასვლელით); აგრეთვე, იმერეთის მხარეს მდებარე რამდენიმე სოფლის

⁶⁰ საერთაშორისო ამნისტიის შეხვედრა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელთან, 2018 წლის მარტი; საერთაშორისო ამნისტიამ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მილიტარიზების ნიშნები ვერ აღმოაჩინა.

⁶¹ სამხრეთ ოსეთიდან/ცხინვალის რეგიონიდან ეთნიკურად ქართველების იძულებით გადაადგილების შესახებ დამატებითი ინფორმაცია ასახულია საერთაშორისო ამნისტიის ანგარიშში „მშვიდობიანი მოსახლეობა ცეცხლის ხაზზე; ქართულ-რუსული კონფლიქტი.“ 48-3 გვერდი, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.amnesty.org/download/Documents/52000/eur040052008eng.pdf>

⁶² ინტერვიუები ახალგორისა და გალის მოსახლეობასთან, 2018 წლის მარტი

მოსახლეობას (პერევი-ქარზმანის და პერევი-სინაგურის გადასასვლელებით).⁶³ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის სხვა რაიონების მოსახლეობასა და თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას ამ გადასასვლელებით სარგებლობის და ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთის უფლება არ აქვთ.⁶⁴ რუსი ოფიცრები და დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლები ტერიტორიაზე შესვლის უფლებას არ აძლევენ იმ ეთნიკურად ქართველებსაც, რომლებიც 2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტამდე სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის სხვა რაიონებში ცხოვრობდნენ.⁶⁵

2013 წლის შემდეგ, ღობეების გავლების პროცესი აფხაზეთშიც გააქტიურდა. საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლებმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორსანტიაში, მდინარე ენგურის გასწვრივ ახლადგავლებული ღობეები და მავთულხლართები იხილეს.⁶⁶ აფხაზეთში „ბორდერიზაციის“ პროცესს თან გადაადგილებაზე დაწესებული დამატებითი შეზღუდვებიც სდევდა. 2016 წლის შემდეგ, ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე მოქმედი ექვსი გადასასვლელიდან,⁶⁷ ოთხი დაიკეტა. გადასასვლელების დაკეტვამ გალის რაიონის ზოგიერთი სოფლის მცხოვრებს მგზავრობის მანძილი 20-25 კილომეტრით დაუგრძელა⁶⁸ და მიმოსვლა უფრო შეზღუდული და რთული გახდა.

ამჟამად, თბილისის მიერ კონტროლირებული ტერიტორიიდან აფხაზეთში მოხვედრა მხოლოდ ორი ადგილიდანაა შესაძლებელი - ენგურის ხიდით ზუგდიდის რაიონში და ფახულანი-საბერიოს გადასასვლელით წალენჯიხის რაიონში. ამ უკანასკნელით, ძირითადად ენგურის ჰიდროელექტროსადგურის თანამშრომლები სარგებლობენ (ენგური აფხაზეთისთვის და თბილისის მიერ კონტროლირებული ტერიტორიისთვის ელექტროენერჯის მთავარი წყაროა). ენგურის ხიდი ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი გამტარია; ოთხი გადასასვლელის დაკეტვის შემდეგ, გადაკვეთების რაოდენობამ აქ დღეში 3000-ს მიაღწია.⁶⁹ გადასასვლელით მოსარგებლეთა უმრავლესობა გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკურად ქართველები არიან. ხიდით სარგებლობის უფლება, სათანადო ნებართვის მიღების შემთხვევაში, აფხაზეთის სხვა რაიონების მოსახლეობას და თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასაც აქვთ.⁷⁰

⁶³ ახალგორის მსგავსად, 2008 წლამდე ეს სოფლებიც თბილისის მიერ კონტროლდებოდა. „ბორდერიზაციის“ შემდეგ მოსახლეობას იმერეთის მიმართულებით შეუძლია მიმოსვლა. კიდევ ერთი გადასასვლელია სოფელ ერგნეთში, რომელიც მხოლოდ სასწრაფო სამედიცინო მანქანებისა და დაკავებულების გამოსაშვებად გამოიყენება. (ინფორმაცია საერთაშორისო ამნისტიის საქართველოს ხელისუფლებამ და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ მიაწოდეს)

⁶⁴ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები ახალგორის მცხოვრებლებთან, 2018 წლის ივლისი

⁶⁵ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მცხოვრებ მოქალაქეებთან, 2018 წლის მარტი; ინტერვიუ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, 2018 წლის მარტი

⁶⁶ საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგებლების ვიზიტი აფხაზეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან, 2018 წლის მარტი. მდინარე აფხაზურად და რუსულად „ინგურ“-ის სახელითაა ცნობილი


⁶⁷ შამგონა-თაგილონის, ორსანტია-მეორე ოტობაიის, ხურჩა-ნაბაკევის, მუჟავა-ლეკუხონას გადასასვლელები.

⁶⁸ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები გალის მცხოვრებლებთან ზუგდიდში და თბილისში, 2018 წლის ივლისი

⁶⁹ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, 2018 წლის მარტი

⁷⁰ აფხაზეთის მკვიდრთ (გალის რაიონის მცხოვრებთა გამოკლებით) თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე წასასვლელად დე ფაქტო მთავრობის ნებართვა სჭირდებათ. ეს პროცესი ზოგჯერ აფხაზეთის დე ფაქტო უსაფრთხოების სამსახურთან გასაუბრებას გულისხმობს. (საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, 2018 წლის მარტი). თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს აფხაზეთში შესასვლელად „ვიზა“ სჭირდებათ (აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხელმისაწვდომია რუსულ ენაზე <http://mfaapsny.org/ru/consular-service/permission/>)

ამ რუკაზე სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზია ნაჩვენები. „ბორდერიზაციის“ ნიშნების სანახავად, საერთაშორისო ამნისტიამ 2011-2018 წლების სატელიტური ფოტოები შეისწავლა. ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის სამხრეთ მონაკვეთებზე ღობეები და ხნულები დაფიქსირდა (სავარაუდოდ „უკანონო გადაკვეთების“ აღმოსაჩენად). სატელიტური ფოტოების შედარებით, დაფიქსირდა რუსეთის FSB-ს 10 ახალი ბაზაც.



5.3 გადაადგილების თავისუფლება და საერთაშორისო სამართალი

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, გადაადგილების უფლება მხოლოდ ლეგიტიმური მიზნებით შეიძლება შეიზღუდოს. მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომლის მონაწილე მხარეები რუსეთიც და საქართველოც არიან, ადგენს, რომ თავისუფლად გადაადგილების უფლების შეზღუდვა მხოლოდ იმ შემთხვევებშია დასაშვები, რომლებიც „აუცილებელია სახელმწიფოს უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად და შესაბამისობაშია წინამდებარე პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებთან.“⁷¹

გადაადგილების უფლების შეზღუდვა პროპორციულიც უნდა იყოს. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის (დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შემდგარი ორგანო, რომელიც მონაწილე მხარეების მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს) თანახმად, სახელმწიფომ არ უნდა მიიღოს „იმაზე უფრო მეტად შემზღუდველი ზომები,“ ვიდრე ამ შეზღუდვის მიზნის მისაღწევად საჭირო. არჩევანი მიზნის მისაღწევად საჭირო ყველაზე უფრო ნაკლებად შემზღუდველ ზომებზე უნდა გაკეთდეს.⁷²

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, ოკუპანტმა ძალამ (ამ შემთხვევაში რუსეთი) მოსახლეობის მიმართ კონტროლის და უსაფრთხოების მხოლოდ ისეთი ზომები უნდა გაატაროს, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის გამო გახდა საჭირო.⁷³

საერთაშორისო ამნისტიამ რუსეთის ხელისუფლებას და დე ფაქტო მთავრობებს გადაადგილების უფლების შეზღუდვის შესახებ განმარტებების თაობაზე 2018 წლის ივლისში მიმართა, მაგრამ ანგარიშის გამოქვეყნების დროისთვის ორგანიზაციას კითხვებზე პასუხი არ მიუღია.

ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე რუსეთის ხელისუფლების და დე ფაქტო მთავრობების მიერ დაწესებული მიმოსვლის რეჟიმი თვითნებურად ზღუდავს გადაადგილების უფლებას და ადგილობრივებს ადამიანის უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას ართმევს. საქართველოს მიერ 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობების შესრულებისა და მის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მილიტარიზების არარსებობის გათვალისწინებით, ასეთი მკაცრი რეჟიმი გაუმართლებელია. უსაფრთხოების მიზეზის არსებობის შემთხვევაშიც კი, არჩევანი უფრო ზომიერ და ნაკლებად საზიანო ზომებზე უნდა გაკეთდეს. გადაადგილების ამჟამინდელი რეჟიმი არაპროპორციულია და რუსეთის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს ეწინააღმდეგება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო ამნისტია წუხს, რომ გადაადგილების თვითნებური შეზღუდვები უარყოფით გავლენას ახდენს ადგილობრივების მიერ სხვა უფლებებით სარგებლობაზეც, მათ შორის თავისუფლების, უსაფრთხოების, ცხოვრების სათანადო დონის, ოჯახური ცხოვრების უფლებასა და რელიგიის თავისუფლებაზე. ამ შეზღუდვების გამო გალისა და ახალგორის რაიონებში მცხოვრები მოქალაქეები თანდათანობით ტოვებენ საკუთარ საცხოვრებელ სახლებს.

⁷¹ მე-12.3 მუხლი, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ

⁷² გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, 27-ე ზოგადი კომენტარი (1999) გადაადგილების თავისუფლების მე-12 პაქტზე, გაეროს დოკუმენტები CCPR/C/21/Rev.1/Add.9 (1999 წლის 2 ნოემბერი)

⁷³ 27-ე მუხლი. უნევის კონვენცია IV

6. თავისუფლების შეზღუდვა და არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევები

საერთაშორისო ამნისტია წუხს, რომ რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრები და დე ფაქტო მთავრობების წარმომადგენლები ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთისთვის სამოქალაქო პირებს რეგულარულად აკავებენ. მსგავსი დაკავებები თვითნებურია და თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებების დარღვევას წარმოადგენს.

სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნაყოფიერ და მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიას მიუყვება. EUMM-ის თანახმად „ადამიანთა, ფერმების, პირუტყვის და მიწის ნაკვეთების ამ სიჭარბეში, ადმინისტრაციული საზღვარი ორივე მხარეს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის მუდმივ გამოწვევას წარმოადგენს.“⁷⁴ 2008 წლამდე ეთნიკურად ოსებისთვის და ქართველებისთვის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთა შედარებით უფრო იოლი იყო ან ოფიციალური, ან არაოფიციალური გადასასვლელების მეშვეობით. თუმცა, მას შემდეგ რაც ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე, 2009 წლიდან რუსეთის სასაზღვრო ძალები განლაგდნენ, მათ „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის“ სამოქალაქო პირების დაკავება დაიწყო, მანამდე არსებული არაფორმალური გადასასვლელები კი, დაიკეტა.

სამოქალაქო პირების ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე დაკავება ხშირია, განსაკუთრებით გაზაფხულზე და ზაფხულში როცა ადგილობრივებს პირუტყვი საძოვარზე გაჰყავთ, მიწას ამუშავებენ ან შეშას იმარაგებენ. საერთაშორისო ამნისტიისთვის EUMM-ისა და ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან თბილისის მიერ კონტროლირებულ

⁷⁴ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა, 2017 წლის აპრილი, ხელმისაწვდომია აქ: https://eumm.eu/data/file/5774/The_EUMM_Monitor_Issue_..._April_____ENG.M1UBLiudw.PDF

ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მიმართულებით „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის“ ბრალდებით თვეში საშუალოდ 10 ადამიანს აკავებენ.⁷⁵ ქვემოთ მოცემული ცხრილი ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთისთვის საქართველოს ხელისუფლების მიერ რეგისტრირებულ დაკავებებს ასახავს. ეს მონაცემები მხოლოდ იმ შემთხვევებს მოიცავს, როდესაც მოქალაქე თბილისის მიერ კონტროლირებული ტერიტორიიდან გადადის; საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის მხრიდან მომავალი მოქალაქეების დაკავების თაობაზე ინფორმაციას არ ფლობს.

წელი	სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი	აფხაზეთი
2008	7	13
2009	79	91
2010	77	114
2011	140	84
2012	108	192
2013	139	393
2014	142	375
2015	163	336
2016	134	193
2017	126	52
2018	100	28

სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობის მიერ გამოქვეყნებული დაკავებების სტატისტიკა გაცილებით უფრო დიდია. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიხედვით, „სასაზღვრო რეჟიმის დარღვევისთვის“ 2016 წელს 549 ადამიანი დააკავეს. მათი უმრავლესობა - 325 - „სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები“ იყვნენ (სავარაუდოდ, სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ეთნიკურად ოსები რომლებიც თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე გადასვლას ცდილობდნენ), 133 კი - „საქართველოს მოქალაქეები“ (სავარაუდოდ თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები, რომლებიც სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში გადასვლას ცდილობდნენ). 23 დაკავებული რუსეთის ან საზღვარგარეთის მოქალაქე იყო.⁷⁶

სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ „ბორდერიზაცია“ უარყოფითად აისახება არა მხოლოდ ეთნიკურად ქართველებზე, არამედ ეთნიკურად ოსებზეც, რომლებიც სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში ცხოვრობენ და თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მოხვედრას ცდილობენ სხვადასხვა მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ამნისტიამ თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე გადმოსვლისთვის დაკავებულ ეთნიკურად ოსებთან გასაუბრება ვერ შეძლო, დაკავებების ფაქტები საერთაშორისო ამნისტიას იმ ეთნიკურად ქართველებმაც დაუდასტურეს, რომლებიც ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ და ურთიერთობას ინარჩუნებენ სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურად ოსებთან. ერთ ასეთ მაგალითზე გვესაუბრა თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მდებარე სოფელ ნიქოზის 63 წლის მცხოვრები, რომელმაც საერთაშორისო ამნისტიასთან ინტერვიუში თქვა, რომ რუსმა სამხედროებმა 2017 წელს მისი ნაცნობი ეთნიკურად ოსი ოთხი დღით დააკავეს, მას შემდეგ რაც ამ უკანასკნელმა ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზი თბილისის მიერ კონტროლირებული ტერიტორიის მიმართულებით, პირუტყვის მოსაძებნად გადაკვეთა. ამის შესახებ ნიქოზის მცხოვრებს ეთნიკურად ოსი თავად მოუყვა, იმ მკვთულხლართების მიმდებარედ, რომელიც მათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს კვეთს.⁷⁷

⁷⁵ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ახლოს მდებარე სოფლებში, 2018 წლის მარტი; ინტერვიუ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთან, 2018 წლის მარტი; ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიხედვით, 2018 წლის დასაწყისიდან დაკავებების თაობაზე „ცხელი ხაზი“ 650-ჯერ გააქტიურდა, იხილეთ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა, 2018 წლის ოქტომბერი, ხელმისაწვდომია აქ: https://eumm.eu/data/file/6486/The_EUMM_Monitor_issue_7_ENG.pdf

⁷⁶ სამხრეთ ოსეთის საინფორმაციო სააგენტო, ხელმისაწვდომია აქ: <http://cominf.org/node/1166510411>

⁷⁷ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ ნიქოზის მცხოვრებლებთან, 2018 წლის მარტი

სატელიტური ფოტო, 2017. რუსეთის მიერ გავლებული ღობე სოფელ დგანის მახლობლად. ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზი სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მიმართულებით.



თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ისინი რუსმა ოფიცრებმა ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მონიშნული ნაწილის გადაუკვეთელად, - მათივე სიტყვით - უეცრად „გაიტაცეს“, როცა ან მიწას ამუშავებდნენ, ან საქონელს მწყემსავდნენ და ან შეშას აგროვებდნენ. სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ძალების თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე დაკავების მიზნით გადმოსვლა დაადასტურა EUMM-მაც.⁷⁸

რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო სამსახურის თანახმად, აფხაზეთის მიმართულებით ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე დაკავებები 2009 წლიდან 2016 წლამდე სულ 14000

⁷⁸ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, 2018 წლის მარტი; ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ადამიანის უფლებათა ანგარიში, 2017, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.state.gov/reports/2016-country-reports-on-human-rights-practices/georgia/>

იყო,⁷⁹ დაკავებულთა უმეტესობა კი, ეთნიკურად ქართველი.⁸⁰ გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკურად ქართველები რეგულარულად გადადიან თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე. ბევრი მათგანი კი, გადასასვლელების გვერდის ავლით ცდილობს ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთას დოკუმენტაციის არქონის და გადასასვლელების დახურვის გამო.⁸¹

საერთაშორისო მონიტორებმა და ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მცხოვრებმა რესპონდენტებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრეს, რომ „სასაზღვრო რეჟიმის“ დამრღვევებს, როგორც წესი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობით აკავებენ და ჯარიმის გადახდის შემდეგ ათავისუფლებენ (განმეორებით დარღვევისას შესაძლოა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც დადგეს, შესაბამისი ჯარიმით ან ორ წლიანი პატიმრობით). დაკავების საქმეები ადგილობრივი დე ფაქტო სასამართლოების მიერ განიხილება, თუმცა უმეტეს შემთხვევებში დაკავებულებს სასამართლოს არ წარუდგენენ და ჯარიმა მოსმენის გარეშე ეკისრებათ. სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მიმართულებით დაკავებულთა უმეტესობას გათავისუფლებისთვის 2000 რუბლის გადახდა უწევს (30 დოლარი).⁸² ჯარიმა გაცილებით უფრო მაღალია აფხაზეთში, სადაც ის 15000 რუბლს (232 დოლარი) და მეტს აღწევს. განმეორებითი დარღვევა აფხაზეთის დე ფაქტო კანონით 30000-დან (464 დოლარი) 60000 (928 დოლარი) რუბლამდე ჯარიმით ისჯება.⁸³ გალში მცხოვრებმა რესპონდენტებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრეს, რომ ასეთი მაღალი ჯარიმის გადახდა საშუალება მათ არ აქვთ. ამის გამო, დაკავებულთა ოჯახების უმეტესობას ფულის ვალად აღება უხდება, რაც მათი ცხოვრების პირობებს კიდევ უფრო აუარესებს.

არსებობს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ ცნობებიც. საერთაშორისო ამნისტია 71 წლის ამირან გუგუტიშვილს ესაუბრა, რომელიც სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან ახლოს, სოფელ გუგუტიანთკარში ცხოვრობს. გუგუტიშვილის თქმით, 2017 წლის თებერვალში ის რუსმა ოფიცრებმა მაშინ დააკავეს, როცა ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიმდებარედ, საკუთარ სასოფლო-სამეურნეო მიწას ამუშავებდა. მისი თქმით, ოფიცრები მის ბაღში შევიდნენ, დააკავეს და არასათანადოდ მოეპყრნენ. გუგუტიშვილის ნათესავებმა საერთაშორისო ამნისტიას დაუდასტურეს, რომ ხუთდღიანი პატიმრობის შემდეგ დაბრუნებულს მთელ სხეულზე დალურჯებები აღენიშნებოდა. ამას ადასტურებს არასამთავრობო ორგანიზაცია წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრიც, რომელმაც გუგუტიშვილი გათავისუფლების შემდეგ, გორის ჰოსპიტალში მოინახულა. ორგანიზაციის თქმით, ამირან გუგუტიშვილს ტრავმის შემდგომი სტრესული აშლილობა, დეპრესია და ფიზიკური და ფსიქოლოგიური წამების შედეგად გამოწვეული მეხსიერების დაკარგვა აღენიშნებოდა.⁸⁴

იმავე სოფლის 34-ის წლის მცხოვრებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრა, რომ „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის“ ორჯერ იყო დაკავებული, 2014 და 2017 წლებში. მისი თქმით, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ძალების წარმომადგენლებმა ორივე შემთხვევისას სცემეს. დაკავების დროს ცემაზე და არასათანადო მოპყრობაზე საუბრობდა სხვა რამდენიმე რესპონდენტიც, მათ შორის იმაზეც, რომ რუსეთის FSB-ს ბაზების სარდაფებში, სადაც დაკავებულები პირველად გადაჰყავთ, საკმაოდ მძიმე პირობებია.

საქართველოს ხელისუფლების ცნობით, დაკავებულების მიმართ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლების მიერ არასათანადო მოპყრობა ხშირია, მათ შორის არის შემთხვევები, როცა დაკავებულებს ისე სასტიკი სცემენ და ისეთ დაზიანებებს აყენებენ, რომ სამედიცინო ჩარევის საჭიროება

⁷⁹ „რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრო დეპარტამენტი აფხაზეთში ყოფნის მე-7 წლის თავს აღნიშნავს (რუსულად),“ 2016 წლის 29 აპრილი, აფსნიპრესი, ხელმისაწვდომია აქ: <http://www.apsnypress.info/news/pogranupravlenie-fsb-rossii-v-abkhazii-prazdnuet-sedmyu-godovshchinu-so-dnya-obrazovaniya/>; „რუსი მესაზღვრეები დაარსებიდან 7 წლისთავს აღნიშნავენ (რუსულად),“ 2017, Южная Служба Новостей, ხელმისაწვდომია აქ: <https://yugsn.ru/pogranupravlenie-fsb-rossii-v-abkhazii-prazdnuet-sedmyu-godovshhinu-so-dnya-obrazovaniya/>

⁸⁰ საქართველოს სახალხო დამცველი, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიისთვის მიწოდებული ინფორმაცია, გაერთიანებული ერების ოფისის უფლებათა საბჭოს რეზოლუციის - „თანამშრომლობა საქართველოსთან“ ფარგლებში, ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4732.pdf>

⁸¹ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები გალის რაიონის ეთნიკურად ქართველ რესპონდენტებთან

⁸² აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციული კოდექსის 190-ე მუხლი

⁸³ აფხაზეთის დე ფაქტო სისხლის სამართლის კოდექსის 324-ე მუხლი

⁸⁴ წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს მიმართა, 2018, ხელმისაწვდომია აქ: <http://empathy.ge/en/on-march-9-2018-the-rctempathy-applied-to-the-prosecutor-of-the-international-criminal-court-ms-fatou-bensouda-requesting-extension-of-scope-of-investigation-on-russiangeorgian-war-2008/>

იქმნება.⁸⁵ საქართველოს სახალხო დამცველი დაკავებულთა მიერ მონოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს, რომ სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მდებარე საპატიმრო დაწესებულებებში მძიმე ვითარებაა. სახალხო დამცველი წუხილს გამოთქვამს, რომ ხდება პატიმართა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მათთვის სასმელი წყლისა და საჭმლის შეზღუდვა.⁸⁶

საერთაშორისო ამნისტიამ რუსეთის ხელისუფლებასა და დე ფაქტო მთავრობებს 2018 წლის ივლისში ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან დაკავებებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ მიმართა, მაგრამ ანგარიშის გამოქვეყნების დროისთვის ორგანიზაციას კითხვებზე პასუხი არ მიუღია.

საერთაშორისო სამართლით, რუსეთი ვალდებულია პატივი სცეს და უზრუნველყოს მათი უფლებები, ვინც ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთას ცდილობს, განსაკუთრებით მათი თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან დაცვა.⁸⁷ რუსეთსა და დე ფაქტო მთავრობებს შორის დადებული „საზღვრის“ კონტროლის შეთანხმებები არ ამართლებს ადგილობრივთა უფლებების დარღვევის ფაქტებს. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით და ოკუპაციის სამართლით, სამოქალაქო პირების დაცვის ვალდებულება არ შეიძლება შეიზღუდოს ოკუპანტ ძალასა (ამ შემთხვევაში რუსეთის) და ოკუპირებული ტერიტორიების დე იურე ან დე ფაქტო ხელისუფლებებს შორის დადებული სხვა რაიმე შეთანხმებით.⁸⁸

რუსეთი როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მონაწილე მხარე, ვალდებულია უზრუნველყოს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის სრული აკრძალვა მის კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, მათ შორის სამხრეთ ოსეთსა/ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში. ამასთანავე, რუსეთი ვალდებულია უზრუნველყოს დანაშაულთა გამოძიება და დამნაშავე პირთა მიმართ სამართლის აღსრულება.

⁸⁵ საქართველოს დელეგაციის განცხადება ეუთო-ს ადამიანური განზომილების შეხვედრაზე, 2016, ხელმისაწვდომია აქ:

<https://www.osce.org/odihr/271471?download=true>

⁸⁶ საქართველოს სახალხო დამცველი, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიისთვის მიწოდებული ინფორმაცია, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციის - „თანამშრომლობა საქართველოსთან“ ფარგლებში, ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4732.pdf>

⁸⁷ რუსეთს ეს ვალდებულება სახმელეთო ომის წარმოების კანონებისა და წესების შესახებ 1907 წლის ჰააგის კონვენციით წარმოებულია, ასევე მისი დანართით სახმელეთო ომის წარმოების კანონებისა და წესების შესახებ და შენევის 1949 წლის კონვენციით ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ

⁸⁸ 47-ე მუხლი. შენევის კონვენცია IV

7. ცხოვრების სათანადო დონის უფლება

„ყოველწლიურად დაახლოებით ასი ყუთი ვაშლი მომყავდა. მოსავლის გაყიდვით მიღებული შემოსავალი ოჯახის არსებობისთვის საკმარისი იყო. 2017 წლის შემდეგ ჩემს ბაღში შესვლას ვეღარ ვახერხებ. რუსებმა იქ „სახელმწიფო საზღვრის“ ნიშანი დააყენეს. ზოგჯერ მოვდივარ ხოლმე და შორიდან ვუყურებ ჩემს ვაშლის ხეებს.“



ამირან გუგუტიშვილი სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მდებარე სოფელ გუგუტიანთკარის მკვიდრია. გუგუტიშვილი საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლებს საკუთარი ხეხილის ბაღს აჩვენებს, რომელზე წვდომაც 2017 წელს, „ბორდერიზაციის“ გამო დაკარგა. ამან ოჯახის ეკონომიკური მდომარეობა კიდევ უფრო გაართულა. გუგუტიშვილების ოჯახი რუსეთ-საქართველოს ომის დროსაც დაზარალდა; 2008 წელს მათი სახლი დაინგა.

2018 წლის მარტში საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლებმა სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მცხოვრები 100-ზე მეტი ადგილობრივი გამოკითხეს. რესპონდენტებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრეს, რომ მათი ცხოვრების დონე „ბორდერიზაციის“ გამო საგრძნობლად გაუარესდა. „ბორდერიზაციის“ პროცესმა, რომელიც 2009 წელს დაიწყო და 2013 წელს გააქტიურდა, ადგილობრივთა ცხოვრების ხარისხზე ორმხრივი გავლენა იქონია. პირველი, ადგილობრივებმა საძოვრებზე, სახნავ-სათეს მიწებზე, ხეხილის ბაღებზე, ტყის რესურსებსა და წყლის რესურსებზე წვდომა დაკარგეს, რამაც მათ ერთადერთი საარსებო წყარო წაართვა. ამასთანავე, ოფიციალური გადასასვლელების დახურვამ ადგილობრივებს ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ ვაჭრობის შესაძლებლობაც შეუზღუდა.

სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიმდებარე მცხოვრები რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ გაუარესებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამო ბევრმა ადგილობრივმა საცხოვრებელი ადგილი დატოვა. მათი თქმით, სოფლებს უმეტესად ახალგაზრდები ტოვებენ და ან გორში ან თბილისში მიდიან. მოხუცები კი, ძირითადად ადგილზე რჩებიან. საერთაშორისო ამნისტიის მიერ გამოკითხული რესპონდენტების დემოგრაფიაც ამას მიუთითებს - სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიმდებარე მცხოვრებთა უმრავლესობა ან საშუალო ასაკის იყო ან ხანდაზმული.

7.1 საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობა - სასოფლო-სამეურნეო მიწების ჩამორთმევა

ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მცხოვრები ადგილობრივების მთავარი საარსებო წყარო მეცხოველეობა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმეა.⁸⁹ როგორც წესი, ადგილობრივებს მოსავლის ნაწილი პირადი მოხმარებისთვის მოჰყავდათ, დანარჩენი კი, გასაყიდად გაჰქონდათ.⁹⁰ ბევრს საქონელი ჰყავდა და რძის პროდუქტებს ადგილობრივ ბაზრებზე ყიდდა როგორც თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, ისე სამხრეთ ოსეთსა/ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში.⁹¹ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე წვდომის დაკარგვამ ადგილობრივი მოსახლეობის ისედაც რთული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. ამან კი, უარყოფითი გავლენა იქონია მათი ცხოვრების სათანადო დონის უფლებებზე.

საქართველო მაღალი შემოსავლის ქვეყანა არ არის. ქვეყნის დაახლოებით 20% სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა.⁹² სიღარიბის დონე სოფლის ტიპის დასახლებებში უფრო დიდია.⁹³ სიღარიბე განსაკუთრებით მაღალია სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მიმდებარე სოფლებში, სადაც 59% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.⁹⁴

⁸⁹ მსოფლიო ბანკი, სიღარიბის შეფასება საქართველოში, 2009, ხელმისაწვდომია აქ: <http://documents.worldbank.org/curated/en/132471468244171912/pdf/444000ESW0P1071C0Disclosed041281091.pdf>

⁹⁰ მაგალითად, დანის ლტოლვილთა საბჭო 2013 წელს აღნიშნავდა, რომ ადგილობრივებს მოსავლის 20% პირადი მოხმარებისთვის მოჰყავდათ, დანარჩენი კი, გასაყიდად გაჰქონდათ, ხელმისაწვდომია აქ: <https://drc.ngo/media/1181268/socio-economic-assessment-of-ergneti-village-2013.pdf>

⁹¹ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მცხოვრებლებთან, 2018 წლის მარტი; მსოფლიო ბანკი, სიღარიბის შეფასება საქართველოში, ხელმისაწვდომია აქ: <http://documents.worldbank.org/curated/en/132471468244171912/pdf/444000ESW0P1071C0Disclosed041281091.pdf>

⁹² აზიის განვითარების ბანკი, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.adb.org/countries/georgia/poverty>

⁹³ მსოფლიო ბანკი, სიღარიბის შეფასება საქართველოში, 2009, ხელმისაწვდომია აქ: <http://documents.worldbank.org/curated/en/132471468244171912/pdf/444000ESW0P1071C0Disclosed041281091.pdf>. კვლევის თანახმად, სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ღარიბი მოსახლეობის 59%-ს და უკიდურესად ღარიბი მოსახლეობის 69%-ს შეადგენს

⁹⁴ მსოფლიო ბანკი, სიღარიბის შეფასება საქართველოში, 2009 (ზოგადი ტენდენციები დღემდე უცვლელი რჩება; შიდა ქართლი კვლავ ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ რეგიონად რჩება - იხილეთ მსოფლიო ბანკის 2013 წლის სტატისტიკა, მე-8 გვერდი. ხელმისაწვდომია აქ:

ადგილობრივებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრეს, რომ რუსეთის FSB-ს ოფიცრების მიერ გავლებული მავთულხლართებისა და თხრილების გამო მათმა უმეტესობამ საძოვრები, სახნავ-სათესი მიწები და ტყეები დაკარგეს. პროცესი ხშირ შემთხვევაში წინასწარი გაფრთხილების გარეშე განხორციელდა და მესაკუთრეებს არანაირი ანაზღაურება არ მიუღიათ.⁹⁵

სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მახლობლად მდებარე ყველა სოფელში, რომელსაც საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლები ესტუმრნენ,⁹⁶ ადგილობრივები ორგანიზაციის წარმომადგენლებს შორიდან უჩვენებდნენ იმ მიწის ნაკვეთებს, რომლებსაც მავთულხლართების გავლებამდე ამუშავებდნენ. მიწის ნაკვეთებამდე მისასვლელი გზები ახლა მავთულხლართებით, თხრილებითა და ღობეებითაა გადაკეტილი. დგას რუსეთის FSB-ს ოფიცრების მიერ დაყენებული ბანერებიც ინგლისური და ქართული წარწერებით, რომელიც ტერიტორიაზე შესვლას კრძალავს. ადგილობრივები მათ სახლებთან მდებარე საძოვრებსა და მიწის ნაკვეთებს ათწლებლებია იყენებენ. ბევრ მათგანს საკუთრების დამადასტურებელი საბუთიც აქვს.

ზუსტი სტატისტიკა იმაზე თუ რამდენმა ოჯახმა დაკარგა საძოვრებზე და სახნავ-სათეს მიწებზე წვდომა, არ არსებობს. საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო ამნისტიას უთხრა, რომ „ბორდერიზაციის“ დაწყებიდან სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მცხოვრებმა 800-დან 1000-მდე ოჯახმა სრულად ან ნაწილობრივად დაკარგა საძოვრებზე, სახნავ-სათეს მიწებზე და ტყის რესურსებზე წვდომა. ეს მიწები, ადგილობრივებს მანამდე ან კერძო საკუთრებაში ჰქონდათ (უმეტესად სახნავ-სათესი მიწები) ან საერთო სასოფლო საკუთრებად იყენებდნენ (უმეტესად საძოვარი, ტყე).⁹⁷ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მცხოვრებმა რესპონდენტებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრეს, რომ 2011 წლიდან რუსეთის მესაზღვრეების მიერ დაწყებული „ბორდერიზაციის“ პროცესის შედეგად, თითო სოფელმა 10-დან 50-მდე ჰექტარი მიწა დაკარგა. 2017 წელს, საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მდებარე მხოლოდ ერთ სოფელ ჯარიაშენში 138 ოჯახიდან 60-მა „ბორდერიზაციის“ შედეგად სულ მცირე ერთი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი დაკარგა.⁹⁸

ადგილობრივები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ რუსი მესაზღვრეების მიერ საძოვრების ჩამორთმევის გამო პირუტყვის გაყიდვა მოუხდათ.⁹⁹ ამაზე უარყოფითი ეკონომიკური გავლენა იქონია ისედაც ღარიბ სოფლებზე, რადგან ამ ადგილებში სოფლის მეურნეობის ალტერნატივა პრაქტიკულად არ არსებობს.¹⁰⁰

წითელუბნის ერთ-ერთმა მკვიდრმა საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლებს უთხრა, რომ „ბორდერიზაციამდე“ ყველა ოჯახს საშუალოდ ხუთი ძროხა ჰყავდა. რძისა და რძის პროდუქტების გაყიდვა კი, მათი შემოსავლის მთავარი წყარო იყო. თუმცა, 2015 წელს, მას შემდეგ რაც რუსმა ოფიცრებმა მათი მიწები დაიკავეს (დაახლოებით 50 ჰექტარი, ძირითადად საძოვარი და მცირე რაოდენობით სახნავი მიწა), ადგილობრივებს საქონლის გაყიდვა მოუწიათ. ოჯახები ახლა შემოსავლის წყაროს გარეშე არიან დარჩენილნი, ბევრი მათგანი გაღარიბდა და მთავრობის დახმარების იმედად დარჩა. დახმარება თვეში 10 ლარიდან (ოთხი დოლარი) 60 ლარამდე (24 დოლარი) მერყეობს, და თუ სოფელი მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში მოხვდა,¹⁰¹ დახმარებას 20% ემატება. წითელუბნის

<http://documents.worldbank.org/curated/en/929561510329276686/pdf/121242-WP-P155421-PUBLIC-32p-DRFIGeorgiaDiagnosticWeb.pdf>

⁹⁵ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მცხოვრებ ადგილობრივებთან, 2018 წლის მარტი

⁹⁶ დვანი, ნიქოზი, ერგნეთი, გუგუტიანთკარი და ხურვალეთი

⁹⁷ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელთან, 2018 წლის მარტი

⁹⁸ საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის შესახებ, 2017, <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4524.pdf>

⁹⁹ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები წითელუბანში, ერგნეთსა და ხურჩაში, 2018 წლის მარტი

¹⁰⁰ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ახლოს მდებარე სოფლებში, 2018 წლის მარტი. ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მდებარე სოფლების მოსახლეობა ერთ-ერთი ყველაზე ღარიბია საქართველოში. იხილეთ მოცემული წყაროც: მსოფლიო ბანკი, სიღარიბის შეფასება საქართველოში, 2009, ხელმისაწვდომია აქ: <http://documents.worldbank.org/curated/en/132471468244171912/pdf/444000ESW0P1071C0Disclosed041281091.pdf>

¹⁰¹ მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში მყოფი სოფლების მცხოვრებთათვის დამატებითი ფინანსური დახმარება გაიცემა, როგორცაა 20%-ით მაღალი პენსია და სოციალური დახმარება, ასევე საშემოსავლო და ქონების გადასახადისგან გათავისუფლება

მკვიდრებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრეს, რომ ეს თანხა იმაზე უფრო ნაკლებია ვიდრე რძის პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავალი. ბევრი ოჯახი სახელმწიფოს ფინანსურ დახმარებასაც ვერ იღებს.¹⁰²

სოფელ გუგუტიანთკარის მცხოვრებმა საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგებლებს უთხრა, რომ მან ერთი ჰექტარი ხეხილის ბაღი დაკარგა და მთლიანად სახელმწიფოს დახმარების ამარაღ დაარჩა. რესპონდენტს „ბორდერიზაციაში“ საშუალოდ 50 ტონა მოსავალი მოჰყავდა - ხილს ბაზარზე ყიდდა და ოჯახის სარჩენად სამყოფ თანხას გამოიმუშავებდა. მიწის და შემოსავლის დაკარგვის საბლაური არ მიუღია. სახელმწიფოს დახმარება კი, გაცილებით უფრო ნაკლებია ვიდრე მისი უწინდელი საქმიანობით მიღებული შემოსავალი.

დაკავებების შიშით ადგილობრივები იმ მიწებსაც ველარ ამუშავებენ, რომელიც ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ახლოს აღმოჩნდა. მათი თქმით, რუსები რეგულარულად გადმოდინან თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე და ადამიანებს იტაცებენ.¹⁰³ ადგილობრივებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრეს, რომ ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ახლოს მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მუშაობის შიში საგრძნობლად გაიზარდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ორი სამოქალაქო პირის გარდაცვალების შემდეგ, 2016 და 2018 წლებში.¹⁰⁴

არსებობდა შემთხვევები, როცა მიწებზე წვდომის საკითხი არაფორმალური შეთანხმებებით გვარდებოდა. 2011 წელს, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის, რუსეთისა და თბილისის წარმომადგებლები შეთანხმდნენ, რომ სოფელ ქვეშის მკვიდრთ ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიღმა დარჩენილ მიწებზე წვდომა შეუნარჩუნდებოდათ. თუმცა, საქართველოს ხელისუფლების ცნობით, ეს გარიგება სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებამ 2017 წელს შეაჩერა. EUMM-ის წარმომადგებლებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრეს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დე ფაქტო მთავრობის და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში იმ ადამიანთა ნია შესთავაზეს, ვისი სახნაგ-სათესი მიწები და საძოვრებიც ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიღმა აღმოჩნდა. საქართველოს ხელისუფლებამ შეთავაზებაზე უარი მიიღო.¹⁰⁵

აფხაზეთის მხარეს, მიწებთან დაკავშირებული პრობლემა ახსენეს სოფელ ხურჩაში. რადგან ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზი აფხაზეთსა და თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიას შორის ბუნებრივ გამყოფს - მდინარე ენგურს - მიუყვება, ადგილობრივებმა, სამხრეთ ოსეთთან/ცხინვალის რეგიონთან შედარებით, უფრო ნაკლები მიწები დაკარგეს. აფხაზეთს თბილისის მიერ კონტროლირებული ტერიტორიისგან მდინარე ენგური ჰყოფს, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზი კი, სოფლებს ზიგზაგისებურად კვეთს, რაც ხშირად იმას ნიშნავს, რომ თვით ადგილობრივებმაც კი არ იციან ზუსტად სად გადის „საზღვარი.“

საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგებლების დაკვირვებით, სოფელი ხურჩა მთლიანად საძოვრების გარეშე დარჩა. სოფელი ყველა მხრიდან ღობეებით გარშემორტყმული აღმოჩნდა, გარდა იმ რამდენიმე ვიწრო გასასვლელისა, რომელიც დასახლებას თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიასთან აკავშირებს. ზოგიერთი ოჯახის თქმით, „ბორდერიზაციაში“ შედეგად მათ ხუთი ჰექტარი თხილის პლანტაცია დაკარგეს (თხილი ადგილობრივებისთვის ყველაზე შემოსავლიანი საქმიანობაა). საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგებლებთან საუბრისას ადგილობრივები უკმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ

¹⁰² საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები წითელუბანში, 2018 წლის მარტი
¹⁰³ რუსი ოფიცრებისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ძალების მიერ თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე დაკავებები, საერთაშორისო ამნისტიას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამაც დაუდასტურა
¹⁰⁴ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები გუგუტიანთკარში, ნიქოზში და ხურვალებში. გულისხმობენ გიგა ოთხოზორიას, რომელიც 2016 წელს აფხაზეთს დე ფაქტო მესაზღვრეებმა მოკლეს და არჩილ ტატუნაშვილს, რომელიც 2018 წელს სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პოლიციის პატიმრობაში გარდაიცვალა. საქართველოს ხელისუფლება დე ფაქტო მთავრობების გამოძიებას უნდობლობას უცხადებს. საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „სიცოცხლის ხელყოფის ორივე შემთხვევაში სამართალი არ აღსრულდა, რადგან დე ფაქტო მთავრობების წარმომადგენლები კონსტრუქციულად არ იქცევიან და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში კეთილსინდისირად არ თანამშრომლობენ.“ იხილეთ მოცემული წყაროც: საერთაშორისო ამნისტია, საჯარო განცხადება, საქართველო: რუსეთმა და დე ფაქტო მთავრობამ სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში პატიმრის გარდაცვალების საკითხი უნდა გამოიძიონ და ნემტი ოჯახს დაუბრუნონ, 2018 წლის მარტი, EUR 56/7997/2018, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.amnesty.org/en/documents/eur56/7997/2018/en/>
¹⁰⁵ ინტერვიუ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, 2018 წლის მარტი; ინტერვიუ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთან, 2018 წლის მარტი

ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიღმა გადასულ საქონელს, დაკავების შიშით, უკან ვერ აბრუნებენ.

ამ ყველაფერს თან ერთვის ისიც, რომ მიწის რესურსის ნაკლებობის გამო, ადგილობრივები სხვა ალტერნატივების მოძიებას ვერ ახერხებენ. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის 2009 წლის მონაცემებით, შიდა ქართლის (რეგიონი რომელიც „ბორდერიზაციაში“ ყველაზე უფრო მეტად დააზარალა) მთლიანი ფართობი 69425 ჰექტარია. აქედან 56682 ჰექტარი მიწა კერძო საკუთრებაშია, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების (12116 ჰექტარი) 95% იჯარითაა გაცემული.¹⁰⁶ საერთაშორისო ამნისტიის მიერ გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილმა თქვა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მათ ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო მიწები შესთავაზეს. მათი განცხადებით, შეთავაზებაზე უარის თქმა მოუწიათ, რადგან ნაკვეთები ან მათი საცხოვრებელიდან მოშორებით მდებარეობდა ან იქ სარწყავი წყლის პრობლემა იყო.

7.2 საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობა - შეზღუდვები ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ ვაჭრობაზე

„ჩვენი სოფელი ჩიხად გადაიქცა, ისევე როგორც ჩვენი ცხოვრება.“

სოფელ ხურჩის 85 წლის მკვიდრმა საერთაშორისო ამნისტიას განუცხადა, რომ გადასასვლელის ჩაკეტივით სოფელმა სავაჭრო ფუნქცია დაკარგა, რამაც ადგილობრივების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა გააუარესა. რესპონდენტის თქმით, ხურჩელების ნაწილმა სოფელი დატოვა და საცხოვრებლად თბილისის მიერ კონტროლირებულ სხვა ტერიტორიაზე გადავიდა.

ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე გადასასვლელების დაკეტივამ კიდევ უფრო გააუარესა ადგილობრივების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. ადგილობრივებმა სასოფლო-სამეურნეო მიწების დაკარგვასთან ერთად, მათთან ახლოს მდებარე და მათთვის ტრადიციულ ბაზრებზე წვდომაც დაკარგეს.

აფხაზეთში, გადასასვლელების ჩაკეტივის შემდეგ, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ ვაჭრობა გადაადგილების შეზღუდვების და ნებართვების აღების სირთულეების გამო საკმაოდ გართულდა. რესპონდენტების თქმით, ვაჭრობა ენგურის ხიდის გავლით მაინც ხდება, მაგრამ საკმაოდ დაბალი სიხშირით.¹⁰⁷ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთი ან მეორე მიმართულებით ტრანსპორტირებისას, თუ პროდუქცია პირად მოხმარებისთვის საჭირო ოდენობას აღემატება, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლები იმპორტისა და ექსპორტის გადასახადებს ითხოვენ. თანხა ან სეზონურად იცვლება ან სხვა გარემოებებზე დამოკიდებული.¹⁰⁸ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მცხოვრები მოქალაქეები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ ხშირია მესაზღვრეების მიერ მოსავლის სრულიად თვითნებურად ან ბუნდოვანი მიზეზებით ჩამორთმევის შემთხვევები.¹⁰⁹

გალის რაიონის სოფელ ოტობაის მცხოვრებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრა, რომ ორსანტია-მეორე ოტობაის გადასასვლელის დაკეტივამდე თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მოსახვედრად ორი ლარი ეხარჯებოდა (0.77 დოლარი). ახლა კი, ერთადერთი მოქმედი გადასასვლელის გავლით მგზავრობისთვის 12 ლარი (4.62 დოლარი) სჭირდება - გაზრდილი დროის და მანძილის გამო. გალის მკვიდრებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრეს, რომ გადასასვლელების დაკეტივის და გადაადგილების

¹⁰⁶ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონული განვითარების სტრატეგია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, 2013, ხელმისაწვდომია აქ: http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/shida_qartli_regional_development_strategy_2014-2024.pdf

¹⁰⁷ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები გალის მცხოვრებლებთან ზუგდიდში, 2018 წლის მარტი

¹⁰⁸ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა, 2016 წლის აგვისტო, ხელმისაწვდომია აქ: https://eumm.eu/data/file/5667/The_EUMM_Monitor_Issue_____August_____ENG___Revised_March____.D_LEP9sXD.pdf

¹⁰⁹ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები გალის მცხოვრებლებთან, 2018 წლის მარტი

შებლუდვის გამო, აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ადგილობრივები იძულებულნი არიან საკვები და საყოფაცხოვრებო ნივთები გალში შეიძინონ, სადაც ფასები გაცილებით უფრო მაღალია, ხშირად კი, ორჯერ უფრო მეტი ვიდრე ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მეორე მხარეს.¹¹⁰

ორსანტია-მეორე თტბაის ხიდი მდინარე ენგურზე. გადასასვლელი 2017 წელს ჩაიკეტა და მას შემდეგ ხიდზე მიმოსვლა შეწყდა.



თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მდებარე სოფელი ხურჩა „ბორდერიზაციის“ პროცესამდე ადგილობრივი მნიშვნელობის სავაჭრო ცენტრი იყო. გადასასვლელთან კაფეები, რესტორნები და მაღაზიები მუშაობდა და ადგილობრივი ეკონომიკა ვითარდებოდა. ერთ-ერთი ხურჩელის თქმით, სოფელს სავაჭროდ ხშირად სტუმრობდნენ ეთნიკურად აფხაზები და ადგილობრივების შემოსავლის ძირითადი წყარო სწორედ ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი იყო. გადასასვლელის დაკეცვის შემდეგ ადგილობრივმა ეკონომიკამ დიდი დარტყმა განიცადა და ხურჩელებმა შემოსავლის მთავარი წყარო დაკარგეს.¹¹¹ საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლები ხურჩას 2018 წლის მარტში სტუმრობდნენ, სადაც მათ გაუქმებული გადასასვლელის ახლოს დაკეტილი მაღაზიები, კაფეები და რესტორნები იხილეს.

¹¹⁰ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები გალის მცხოვრებლებთან; აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში, 2017, ხელმისაწვდომია აქ: <https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/N1712489.pdf>

¹¹¹ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები ხურჩის მცხოვრებლებთან, 2018 წლის მარტი

მიტოვებული მაღაზიები და კაფეები, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზი სოფელ ხურჩაში. „ბორდერიზაციამდე“ ხურჩა ადგილობრივი მნიშვნელობის სავაჭრო ცენტრი იყო.



სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში, ერგნეთის ბაზრობის დაკეცვამდე, ადმინისტრაციული სავაჭრო ხაზის გასწვრივ ვაჭრობა ადგილობრივი ეკონომიკის ძირითადი კომპონენტი იყო. ერგნეთის ბაზრობა სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონს და თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიას შორის ვაჭრობის არაფორმალური ცენტრი იყო. ბაზრობა 2004 წელს საქართველოს მთავრობის მიერ, კონტრაბანდასთან ბრძოლის პოლიტიკის ფარგლებში, დაიკეტა. სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მახლობლად მცხოვრები ადგილობრივების თქმით, ერგნეთის ბაზრობის დაკეცვის შემდეგ ისინი მაინც ახერხებდნენ მათი და საქართველოს სხვა რეგიონებში მოწეული მოსავლის რეგიონულ ცენტრში, ცხინვალში გაყიდვას. ზოგჯერ კი, ცხინვალის გავლით რუსეთშიც. მავთულხლართების გაბმის შემდეგ, ადგილობრივების თქმით, ვაჭრობა შეწყდა, რამაც მოსახლეობა კიდევ უფრო იზოლირებული გახადა.¹¹²

ერგნეთელმა მეხილეებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრეს, რომ 2008 წლის კონფლიქტისა და „ბორდერიზაციის“ შედეგად, ცხინვალის ბაზარზე მოხვედრა აღარ შეუძლიათ, რამაც მათი გაყიდვები გაანახევრა. ახლომდებარე სოფელ ნიქოზში, 10-მდე ადგილობრივმა თქვა, რომ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე მიმოსვლის შეწყვეტის შემდეგ რძის პროდუქტების გასაღების ბაზარი დაკარგეს. ორივე სოფელი ცხინვალიდან სამ კილომეტრში მდებარეობს. შესაბამისად, გლეხებს სატრანსპორტო საშუალების გარეშე, ყოველდღიურად შეეძლოთ ბაზარში გასვლა და მოსავლის გაყიდვა. შედარებისთვის, ამჟამად მათთვის ყველაზე ახლო ბაზარი 30 კილომეტრში მდებარე გორი ან 100 კილომეტრში მდებარე თბილისია, რაც დამატებით დროს, ტრანსპორტის ხარჯებს და ლოგისტიკურ სირთულეებს ქმნის. გლეხებს, რომლებიც თავს სოფლის მეურნეობით ირჩენენ, მოსავლის ტრანსპორტირებისთვის საჭირო ნაღდი ფული არ გააჩნიათ.

¹¹² საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ ნიქოზის მცხოვრებლებთან, 2018 წლის მარტი

ქალაქი ცხინვალი. ფოტო გადაღებულია თბილისის მიერ კონტროლირებული ტერიტორიიდან, სოფელი ნიქოზიდან. 2008 წლამდე და „ბორდერიზაციამდე“ ნიქოზელ გლეხებს მოსავლის ცხინვალში გაყიდვა შეეძლოთ.



ახალგორის მცხოვრებლები, რომლებიც 2008 წლის შემდეგ საკუთარ სახლებში დაბრუნდნენ, თბილისის მიერ კონტროლირებული ტერიტორიიდან სავაჭრო პროდუქციის შესატანად მოსაბრუნო-ოქისის გადასასვლელს იყენებენ. მათი შეტანილი პროდუქცია საგრძნობლად უფრო იაფია, ვიდრე რუსეთიდან სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში იმპორტირებული საქონელი. ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან და ახალგორში მცხოვრები რესპონდენტების თქმით, ბევრი ეთნიკურად ოსი თბილისის მიერ კონტროლირებული ტერიტორიიდან შეტანილი საქონლის საყიდლად, და შემდეგ ცხინვალში გასაყიდად, ახალგორში ჩადიოდა. 2018 წლის იანვრის შემდეგ დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლებმა მოსაბრუნო-ოქისის გადასასვლელზე „საბაჟო სამსახური“ განათავსეს და ახალგორელებს სავაჭრო საქონლის ტრანსპორტირებაზე შეზღუდვები დაუწესეს. საერთაშორისო ამნისტიის ხელთ არსებული ცნობებით, თითო ადამიანს სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ყოველ თვე 50 კილოგრამამდე ტვირთის შეტანა შეუძლია. 50 კილოგრამზე მეტი ტვირთი, „დეკლარირებას“ ექვემდებარება და გადასახადი უწესდება.¹¹³ ახალგორელი რესპონდენტების თქმით, „საბაჟო სამსახურის“ გახსნამ მათი შემოსავალი შეამცირა. მათივე თქმით, ეს ნაბიჯი სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში საკვებ და საყოფაცხოვრებო ნივთებზე ფასებს გაზრდიდა.

7.3 საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობა და საერთაშორისო სამართალი

¹¹³ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები ახალგორის მცხოვრებლებთან, 2018 წლის ივლისი; ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიში - „კონფლიქტი საქართველოში“ - 2017-18, ხელმისაწვდომია აქ: <https://rm.coe.int/consolidated-report-on-the-conflict-in-georgia-october-2017-march-2018/16807b81cc> para. 53

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომლის მონაწილე მხარეები რუსეთიც და საქართველოც არიან, აცხადებს, რომ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები „აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი, კვების, ტანისამოსის და ბინის ჩათვლით; აგრეთვე უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს.“¹¹⁴ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება, როგორც უშუალოდ, ისე დე ფაქტო მთავრობების ქმედებებით, ამ ვალდებულებას არ ასრულებს და ადგილობრივ მოსახლეობას საარსებო წყაროებზე წვდომას უზღუდავს.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთისა და დე ფაქტო მთავრობების ქმედებები შესაძლოა კვალიფიცირდეს, როგორც იძულებითი გასახლება, რაც საერთაშორისო სამართლით აკრძალულია.¹¹⁵ იძულებითი გასახლება განიშარტება, როგორც „ადამიანების, ოჯახების და/ან თემების ნების საწინააღმდეგოდ მუდმივად ან დროებით აყრა მათი სახლიდან და/ან მიწიდან სადაც ცხოვრობენ, სათანადო კანონიერი ან სხვა სახის დაცვის უზრუნველყოფის განუხერხებელი“¹¹⁶ ამრიგად, ეს მოიცავს როგორც სახლებიდან და სახნავ-სათესი მიწებიდან, ისე ხეხილის ბაღებიდან და საძოვრებიდან გაძევებას. ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციის და დე ფაქტო მთავრობების წარმომადგენლების მიერ სახნავ-სათესი მიწებზე, ხეხილის ბაღებსა და საძოვრებზე წვდომის თვითნებურ შეზღუდვას თან წინასწარი კონსულტაცია, გაფრთხილება, ანაზღაურება და ალტერნატიული მიწების შეთავაზება არ ახლდა, ნიშნავს, რომ მოხდა ამ ადამიანების იძულებითი გასახლება.¹¹⁷

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სფეროში სახელმწიფოების ექსტრატერიტორიული ვალდებულებების შესახებ მასტრიხტის პრინციპების თანახმად,¹¹⁸ ექსტრატერიტორიული ვალდებულებების დარღვევად ითვლება ყველა შემთხვევა, როდესაც ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალი „წინასწარ განჭვრეტადია.“¹¹⁹ მაგალითად, შესაფერისი კვებაზე წვდომის ვალდებულების უზრუნველყოფა, მათ შორის ვალდებულების, რომ არ გატარდეს ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ზომები, რომლებიც შეზღუდავს საკვებზე და საკვების გამომუშავებისთვის საჭირო წყაროებზე წვდომას, ექსტრატერიტორიულად ვრცელდება.¹²⁰

მასტრიხტის პრინციპების მიხედვით რუსეთის ფედერაცია ვალდებულია პატივი სცეს, დაიცვას და შეასრულოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში და ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე რომელიც თბილისის მიერ კონტროლდება. ეს ვალდებულება შემდეგი კრიტერიუმებით განისაზღვრება და ყველა ეს კრიტერიუმები ამ ანგარიშში აღწერილ ვითარებას ერგება:

- a) ვითარებები, როდესაც ქვეყანა ახორციელებს ეფექტურ კონტროლს, მიუხედავად იმისა ეს კონტროლი საერთაშორისო სამართლით არის თუ არა დადგენილი;
- b) ვითარებები, როდესაც სახელმწიფოს ქმედებებს ან გადაცდომებს განჭვრეტადი შედეგი მოაქვს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებაზე, ტერიტორიის შიგნით თუ გარეთ;
- c) ვითარებები, როდესაც სახელმწიფოს მისი აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებით - ერთად ან ცალ-ცალკე - აქვს გადამწყვეტი გავლენა ან იღებს ზომებს ეკონომიკური,

¹¹⁴ მე-11 მუხლი, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ
¹¹⁵ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, მე-7 ზოგადი კომენტარი, მე-3 პარაგრაფი
¹¹⁶ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, მე-7 ზოგადი კომენტარი, მე-3 პარაგრაფი
¹¹⁷ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, მე-7 ზოგადი კომენტარი, მე-15 და მე-16 პარაგრაფები
¹¹⁸ მასტრიხტის პრინციპები საერთაშორისო სამართლის 40 ექსპერტის მიერ შემუშავდა და 2011 წლის 28 სექტემბერს გამოქვეყნდა. დოკუმენტის ავტორები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული ინსტიტუტების მოქმედი და ყოფილი წევრები, აგრეთვე გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მოქმედი და ყოფილი სპეციალური მომხსენებლები არიან.
¹¹⁹ მე-13 მუხლი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სფეროში სახელმწიფოების ექსტრატერიტორიული ვალდებულებების შესახებ მასტრიხტის პრინციპები, 2011, ხელმისაწვდომია აქ: https://www.etoconsortium.org/nc/en/main-navigation/library/maastricht-principles/?tx_drblob_pi1%5BdownloadUId%5D=23
¹²⁰ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, მე-12 ზოგადი კომენტარი, უფლება სათანადო კვებაზე (მე-20, 1999), გაეროს დოკუმენტები E/C.12/1999/5 (1999), გაეროს დოკუმენტები HRI/GEN/1/Rev.6 at 62 (2003)

სოციალური და კულტურული უფლებების ექსტრატერიტორიულ განხორციელებაზე, საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობის საარსებოდ საჭირო საკვები მარაგის, და საკვების წყაროებისა და მათი მიწების საშუალებების „განადგურება, გატანა, მწყობრიდან გამოყვანა, მათზე თავდასხმა იმ განზრახვით, რომ სამოქალაქო მოსახლეობამ ან მოწინააღმდეგე მხარემ ვერ შეძლოს მათი, როგორც საარსებო საშუალებების გამოყენება, განურჩევლად იმისა, თუ რა მოტივი ედო საფუძვლად ამგვარ მოქმედებას - სამოქალაქო მოსახლეობის დამშევა, მათი იძულებითი გადასახლება თუ რაიმე სხვა.“¹²¹ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, ოკუპაციისას, კერძო საკუთრების უფლება დაცული უნდა იყოს; აკრძალულია მისი ჩამორთმევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მისი განადგურება ან დაკავება აუცილებელ სამხედრო საჭიროებას წარმოადგენს.¹²²

საერთაშორისო ამნისტია არ ფლობს ინფორმაციას იმაზე, თუ რა სამხედრო საჭიროებას წარმოადგენდა ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ სახნავ-სათესი მიწებისა და საძოვრების დაკავება და ადგილობრივებისთვის საარსებო წყაროებზე წვდომის შეზღუდვა. საერთაშორისო ამნისტიას ამ კითხვაზე რუსეთის ფედერაციისგან და დე ფაქტო მთავრობებისგან პასუხი არ მიუღია.

7.4 სოციალური და ეკონომიკური დახმარების სიმცირე „ბორდერიზაციით“ დაზარალებული მოსახლეობისთვის

2013 წლის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ „ბორდერიზაციის“ შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების გაწევის მიზნით, რამდენიმე სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა. ამ ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა სოფლების გაზიფიკაცია, მოწესრიგდა სარწყავი სისტემები, მოხდა სოფლის მეურნეობის სუბსიდირება და ფერმერებისთვის სარეგისტრაციო მომსახურება უფასო გახდა.¹²³ ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მახლობლად თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მდებარე სოფლების უმრავლესობა მაღალმთიან დასახლებადაა ნუსხაში მოხვდა, რაც ამ სოფლების მცხოვრებთათვის დამატებით სოციალურ და ეკონომიკურ დახმარებას გულისხმობს, როგორცაა 20%-ით მაღალი პენსია და სოციალური დახმარება, ასევე საშემოსავლო და ქონების გადასახადისგან გათავისუფლება.¹²⁴ საქართველოს ხელისუფლების ინფორმაციით, „ბორდერიზაციით“ დაზარალებულ სოფლებში მცხოვრები ასობით სტუდენტი უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსებით სარგებლობს; გარემონტდა კონფლიქტის ზონაში მდებარე რამდენიმე სკოლა.¹²⁵

საერთაშორისო ამნისტიის მიერ გამოკითხული მოქალაქეების თქმით, სახელმწიფოს დახმარება არასაკმარისია და ისინი თავს ხელისუფლებისგან „მიტოვებულად“ მიიჩნევენ - მათივე თქმით - როგორც „დევილები საკუთარ სახლში.“ მათი ნუხილის მთავარი საგანი უმუშევრობა და „ბორდერიზაციით“ გამოწვეული შემოსავლის წყაროების დაკარგვაა, რის გამოც ადგილობრივებს თავის რჩენა უჭირთ. დაზარალებული გლეხების თქმით, რუსეთის მიერ დაკავებული სახნავ-სათესი მიწებისა და საძოვრების სანაცვლოდ საქართველოს ხელისუფლებამ მათ არც ანაზღაურება შესთავაზა და არც სხვა რაიმე ალტერნატივა (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი ალტერნატივების არარსებობის გამო). ადგილობრივ გლეხებს სასოფლო-სამეურნეო საქმეში ინვესტირებისთვის სათანადო რესურსები არ გააჩნიათ; მაღალი რისკის გამო შეზღუდული აქვთ სესხებზე წვდომა. ზოგიერთი რესპონდენტის თქმით, მათ „სოციალური შემწყობაც“ ჩამოერთვათ იმ მიზეზით, რომ

¹²¹ მუხლი 54.2, უენევის კონვენციების დამატებითი ოქმი საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ (I ოქმი); წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართალი, I ტომი, 54-ე წესი

¹²² წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართალი, 51-ე წესი

¹²³ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მცხოვრებ მოქალაქეებთან, 2018 წლის მარტი

¹²⁴ კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, 2015

¹²⁵ ინტერვიუ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთან, 2018 წლის მარტი

მოთხოვნებს აღარ აკმაყოფილებდნენ.¹²⁶ რესპონდენტებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრეს, რომ მთავრობას დიდი ხანია „ბორდერიზაციით“ დაზარალებული მოსახლეობისთვის სოციალური შემწეობის გაცემის უფრო მოქნილი მოთხოვნების შემოღებას სთხოვენ. ბევრი ადგილობრივი იმითაცაა უკმაყოფილო, რომ გორთან და დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი გზები მოუწესრიგებელია.

გალის და ახალგორის რაიონებში დაბრუნებული იძულებით გადაადგილებული პირის სტატუს ინარჩუნებენ, რადგან საქართველოს მთავრობა მათ დაბრუნებას „უსაფრთხოდ და ღირსეულად“ არ მიიჩნევს.¹²⁷ გალისა და ახალგორის რაიონებში მცხოვრებლები, როგორც იძულებით გადაადგილებული პირები ყოველთვის შექმნობას იღებენ 45 ლარის (17 დოლარი), ასევე პენსიას 200 ლარის ოდენობით (73 დოლარი).

საქართველოს ხელისუფლების ცნობით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მცხოვრებლებს თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, სახელმწიფო რეფერალური პროგრამის ფარგლებში, სამედიცინო მკურნალობის ხარჯები სრულად უფინანსდებათ.¹²⁸ ეს პროგრამა 2010 წელს, რეინტეგრაციისა და შერიგების ხელშეწყობის მიზნით დაიწყო. მასში ჩართვა ახალგორის და გალის რაიონების მცხოვრებლებს არ შეუძლიათ; ისინი საქართველოს სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობენ, რაც თავის მხრივ სამედიცინო მკურნალობის მომსახურების ხარჯებს სრულად არ ანაზღაურებს. გალისა და ახალგორის რაიონების მცხოვრებლები საერთაშორისო ამნისტიასთან საუბარში ამ ფაქტზე უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. მათი თქმით, პროგრამა დისკრიმინაციულია, რადგან ეთნიკურად აფხაზებსა და ეთნიკურად რუსებს პროგრამით სარგებლობის უფლება აქვთ, ხოლო მათ არა, მაშინ როდესაც დე ფაქტო მთავრობები მათ მიმართ საკმაოდ შემზღვეველ ზომებს ატარებენ. საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლებს განუცხადეს, რომ სახელმწიფო რეფერალური პროგრამის გავრცელებას გალისა და ახალგორის რაიონების მოსახლეობაზეც აპირებდნენ. ანგარიშის გამოქვეყნებისას, ეს გეგმა ჯერ არ იყო ხორცშესხმული.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური და ეკონომიკური მდომარეობის გაუარესებაზე პასუხისმგებელი ძირითადად რუსეთი და დე ფაქტო მთავრობები არიან, მისი იურისდიქციის ქვეშ მცხოვრები ადამიანების მიმართ ვალდებულებები აქვს საქართველოსაც. საქართველოს რატიფიცირებული აქვს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (ICESCR), რომლის მიხედვით პაქტის მონაწილე სახელმწიფოები „აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი, კვების, ტანისამოსის და ბინის ჩათვლით; აგრეთვე უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს.“¹²⁹ ICESCR-ის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი საქართველოს ამ პაქტით აღიარებული უფლებების სრული რეალიზაციისათვის, მის ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას ავალდებულებს. ეს მოიცავს ვალდებულებას გაზარდოს სოციალური და ეკონომიკური დახმარება გლეხებისთვის, რომლებიც „ბორდერიზაციით“ დაზარალებულნი და მოსახლეობისთვის, რომელიც კონფლიქტის შედეგად დაზარალებულა, რათა მათ ცხოვრების სათანადო პირობების რაიმე ფორმით სარგებლობა მაინც შეეძლოთ.

¹²⁶ სოციალური შემწეობის მისაღებად, ოჯახები მკაცრ ფინანსურ და სოციალურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ. შეფასებები რეგულარულად ტარდება და სია მუდმივად ახლდება

¹²⁷ ინტერვიუ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთან, 2018 წლის მარტი

¹²⁸ 2019 წლის მონაცემებით, პროგრამა დიაგნოსტიკების ხარჯებს არ ფარავს, მაგრამ სრულად ფარავს მკურნალობის ხარჯებს (ინფორმაცია მოწოდებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ)

¹²⁹ მე-11 მუხლი, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ

8. ოჯახური ცხოვრების უფლება

„ჩემი და ბოლოს ხუთი წლის წინ ვნახე. ჩემთან ძალიან ახლოს ცხოვრობს- სულ რაღაც ხუთ კილომეტრში - მის სოფელს აქედან ვხედავ, მაგრამ ერთმანეთს მავთულხლართები გვაშორებს.“

სოფელ წითელუბნის 60-წლის მკვიდრი საერთაშორისო ამნისტიას დის მონახულების სირთულეებზე ესაუბრა, რომელიც ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გაღმა, სოფელ ორჭოსანში ცხოვრობს.

„ბორდერიზაცია“ და შეზღუდული გადაადგილება უარყოფითად აისახება ოჯახური ცხოვრების უფლებაზე. ოჯახის წევრები, რომლებიც ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ, ერთმანეთის მონახულებას ან საერთოდ ვერ ახერხებენ ან პროცესში ბევრ სირთულეს აწყდებიან.

სოფელ წითელუბნის 60-წლის მკვიდრმა (წითელუბანი თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს და იქ შერეული ქართულ-ოსური მოსახლეობა ცხოვრობს) საერთაშორისო ამნისტიას უთხრა, რომ მისი და, რომელიც სულ რაღაც ხუთი კილომეტრის მოშორებით მდებარე ეთნიკურად ოსურ სოფელ ორჭოსანშია გათხოვილი, ბოლოს ხუთი წლის წინ ნახა. მას სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ჩასვლის შესაძლებლობა არ აქვს. ერთადერთი გზა, რომლითაც მის დას მისი ნახვა შეუძლია არის 300 კილომეტრიანი მგზავრობა ვლადიკავკაზის გავლით თბილისამდე - რისი საშუალებაც ამ უკანასკნელს არ აქვს.

ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის სხვადასხვა მხარეს დარჩენილი ოჯახებისთვის, მონახულების ერთადერთი გზა სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მცხოვრებლების მიერ ვლადიკავკაზის გავლით თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მოხვედრაა. ეს კი მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზით გაყოფილ სოფლებს შორის მანძილი სულ რაღაც რამდენიმე ასეული მეტრია. თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას იმის შესაძლებლობაც კი არ აქვს, რომ ვლადიკავკაზის გავლით სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მოხვდნენ. მაგალითისთვის, ახალგორის მკვიდრთა აღწერით, დე ფაქტო მთავრობა სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მეორე მხარეს მცხოვრები ადამიანების მიწვევის უფლებას არ აძლევს. შერეული ოჯახების მოხუცი წევრები, რომლებმაც „ბორდერიზაციის“ შემდეგ სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში დარჩენა ამჯობინეს, მოკლებულნი არიან ოჯახის ახალგაზრდა წევრების დახმარებას, რომლებმაც ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მეორე მხარეს ცხოვრება ამჯობინეს და

2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე გადავიდნენ საცხოვრებლად.¹³⁰

წითელუბნელების თქმით, მავთულხლართების გავლებამდე, ნათესავების მოსანახულებლად ორქოსანში თითქმის ყოველდღიურად დადიოდნენ. მათივე თქმით, „ბორდერიზაციის“ მიუხედავად ზოგიერთი მაინც ახერხებს მალულად გადასვლას, რაც ხშირად რუსების ან დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ დაკავებით სრულდება.

სოფელ ნიქოზის მკვიდრთა თქმით, ისინი მაინც ცდილობენ ურთიერთობის შენარჩუნებას მეზობლებთან და მეგობრებთან, რომლებიც 2011 წლის შემდეგ ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიღმა აღმოჩნდნენ. მათივე თქმით, როცა ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მეორე მხარეს მეზობელს ან მეგობარს ხედავენ, საუბრის წამოწყებას ცდილობენ. თუმცა, მათივე განმარტებით, როცა რუსი ოფიცრები ხედავენ, რომ ეთნიკურად ოსები თბილისის კონტროლირებულ ტერიტორიაზე მყოფთ ესაუბრებიან, საუბარს აწყვეტინებენ და დაკავებით ემუქრებიან.

თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, მათ შორის გალისა და ახალგორის მცხოვრებლებთან ჩატარებული ინტერვიუებით, აღმოჩნდა, რომ „ბორდერიზაციამდე“ ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობა მჭიდრო კონტაქტებს ინარჩუნებდა ოჯახებთან. 2008 წლამდე შერეული ქართულ-ოსური ოჯახები ხშირი იყო; ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ მდებარე ბევრი სოფელი დღემდე ეთნიკურად შერეულია. აფხაზეთში, გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკურად ქართველები დღემდე მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებენ თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებთან და ხშირად სტუმრობენ მათ.

საერთაშორისო ამნისტიის ხელთ არსებული ცნობით, თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურად ქართველებს გალის რაიონში მცხოვრები ნათესავების და ოჯახის წევრების მოსანახულებლად ოფიციალური მოწვევა სჭირდებათ. გალის მკვიდრებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრეს, რომ მოწვევის მიღებას დაახლოებით 10 დღე სჭირდება და 5000 რუბლამდე (73 დოლარი) ჯდება. თუმცა, ხშირია მოწვევის გაცემაზე განმარტებების გარეშე უარის თქმის შემთხვევები. მოწვევა აფხაზეთში შესვლის გარანტია არ არის. გალელმა რესპონდენტებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრეს, რომ აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლები ხშირად განმარტების გარეშე აბრუნებენ მოწვევის მქონე პირებს. გალის რაიონიდან იძულებით გადაადგილებულმა პირმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრა, რომ 2017 წლის ივლისში გალში, მომაკვდავი ბაბუის სანახავად, შესვლაზე უარი მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ მოწვევა ხელთ ჰქონდა. რესპონდენტი განმარტა, რომ ის აფხაზეთს დე ფაქტო უსაფრთხოების ოფიცრებმა ენგურის ხიდზე მოწვევის წარდგენის შემდეგ გააჩერეს და უთხრეს, რომ სოხუმიდან საბოლოო დასტურს ელოდნენ. გადასასვლელზე ორდღიანი ლოდინის შემდეგ, რესპონდენტი უკან გაბრუნდა. შესვლაზე უარის მიზეზები არ განუმარტავთ.¹³¹ რესპონდენტის განმარტებით ბაბუა მალევე გარდაიცვალა და მისი ნახვა ვეღარ მოახერხა. საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლებმა სხვა მსგავსი ამბები გალის რაიონის მცხოვრებლებთან 2018 წლის მარტში ზუგდიდში ჩატარებული ინტერვიუებისას მოისმინეს.

გალში მცხოვრები ქართველები, რომლებსაც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გაცემული დოკუმენტები არ აქვთ, თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე ნათესავების მოსახულებას ვერ ახერხებენ, რადგან ამ დოკუმენტების გარეშე აფხაზეთის დატოვება და უკან დაბრუნება შეუძლებელია.¹³²

ოჯახის წევრებისთვის ერთმანეთის მოსახულების აკრძალვით, რუსეთის ფედერაცია, როგორც სახელმწიფო, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში, მათ შორის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზებზე, საერთო ეფექტურ კონტროლს ახორციელებს, ვერ ასრულებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლითა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით ნაკისრ ვალდებულებებს. საერთაშორისო

¹³⁰ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მიმდებარედ მცხოვრებლებთან, 2018 წლის მარტი. ოჯახების გაყოფა და ერთმანეთის მოსახულებასთან დაკავშირებული პრობლემები აღწერილია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ - საქართველო/სამხრეთ ოსეთი: კონფლიქტიდან ორი წლის შემდეგ, ყოველდღიური ცხოვრება კვლავ რთულია, 2010, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.icrc.org/eng/resources/documents/interview/georgia-interview-060810.htm>

¹³¹ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუ ზ.წ.-სთან, თბილისი, 2018 წლის ივნისი

¹³² ინტერვიუ გალის რაიონის მცხოვრებლებთან, 2018 წლის მარტი

ჰუმანიტარული სამართლით, რუსეთი ვალდებულია პატივი სცეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის ოჯახური ცხოვრების უფლებას. ამის გათვალისწინებით, რუსეთი ვალდებულია არ ჩაერიოს თვითნებურად და არ შეზღუდოს ნათესაური ვიზიტები საოკუპაციო ხაზის გასწვრივ.¹³³ რუსეთი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლითაცაა ვალდებული პატივი სცეს ყველას „პირად და ოჯახურ ცხოვრებას“ მისი ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფ მთელ ტერიტორიაზე. „პირად და ოჯახურ ცხოვრებაში“ ჩაურევლობის ეს ვალდებულება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობებზეც ვრცელდება. ისინი, ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე ოჯახის წევრების გადაადგილების ხელშეშლით, ამ ვალდებულებას ამ დრომდე არ ასრულებენ.

¹³³ 27-ე მუხლი. უენევის კონვენცია IV

9. რელიგიის თავისუფლება და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება

„ჩვენი მშობლები და წინაპრები იქ არიან დაკრძალული, რატომ არ უნდა გვქონდეს მათი საფლავების მონახულების უფლება?“

ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მახლობლად მდებარე სოფელ ხურვალეთის მოსახლეობას „ბორდერიზაციის“ გამო სოფლის სასაფლაომდე მისვლის საშუალება აღარ აქვს.

„ბორდერიზაციის“ პროცესმა უარყოფითი გავლენა იქონია ადგილობრივი მოსახლეობის წვდომაზე რელიგიური დანიშნულების ნაგებობებთან და სასაფლაოებთან, რომლებიც ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან ახლოს მდებარეობს. ეს კი, რელიგიის თავისუფლებასა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას ზღუდავს. საერთაშორისო ამნისტიას ადგილობრივებმა უთხრეს, რომ ეკლესიებისა და სასაფლაოების მონახულებისას რუსი ოფიცრები მათ ხშირად აკავებენ.¹³⁴

საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენლების მიერ მონახულებული სოფლების მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ ზოგიერთი ისტორიული ეკლესია მავთულხლართების მიღმა აღმოჩნდა.¹³⁵ ამ ეკლესიებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის

¹³⁴ საერთაშორისო ამნისტიის ინტერვიუები სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მიმდებარე მცხოვრებლებთან, 2018 წლის მარტი; ინტერვიუები ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, 2018 წლის მარტი; ინტერვიუები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, 2018 წლის მარტი

¹³⁵ სასაფლაოებზე წვდომის პრობლემა აღწერილია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ - საქართველო/სამხრეთ ოსეთი: კონფლიქტიდან ორი წლის შემდეგ, ყოველდღიური ცხოვრება კვლავ რთულია, 2010, ხელმისაწვდომია აქ: <https://www.icrc.org/eng/resources/documents/interview/georgia-interview-060810.htm>

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს; ისინი აქ რელიგიურ დღესასწაულებს აღნიშნავენ. საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწოდებული ცნობებით, „ბორდერიზაციის“ გამო ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მიმდებარედ მცხოვრებმა ადგილობრივებმა სულ მცირე ცხრა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე დაკარგეს წვდომა.¹³⁶

სოფელ ხურვალეთში მცხოვრებმა რესპონდენტებმა საერთაშორისო ამნისტიას უთხრეს, რომ 2013 წელს სოფლის სასაფლაო მავთულხლართების მიღმა აღმოჩნდა და იქ მისვლის შესაძლებლობა მას შემდეგ აღარ აქვთ. საქართველოს ხელისუფლების თანახმად, სასაფლაოზე მისვლის შესაძლებლობა აღარ აქვს სოფელ ქვეშის მოსახლეობასაც. მავთულხლართების ახლოს აღმოჩნდა ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ მდებარე რვა სოფლის სასაფლაო. რუსი ოფიცრებისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ძალების მიერ დაკავების საშიშროების გამო, ადგილობრივები ამ სასაფლაოზე მისვლასაც ერიდებიან. ეს ადგილები საგვარეულო სამარხებს წარმოადგენს და მას ადგილობრივი რელიგიური ტრადიციების შესაბამისად რეგულარულად მოინახულებენ.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, რუსეთის ფედერაცია ვალდებულია პატივი სცეს ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიურ წეს-ჩვეულებებს;¹³⁷ მათ შორის, რელიგიური დანიშნულების ნაგებობებისა და სასაფლაოების მონახულების ნება დართოს. რუსეთი, როგორც ICCPR-ის მონაწილე მხარე, ვალდებულია უზრუნველყოს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა ადამიანს რელიგიის თავისუფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, და აუცილებელია სახელმწიფოს უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად.¹³⁸ რუსეთი, როგორც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (ICESCR) მონაწილე მხარე, ვალდებულია აღიაროს კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებაც.¹³⁹ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საკითხთა კომიტეტის განმარტებით, კულტურა, ICESCR-ის მე-15(1) მუხლის მიზნებისთვის, მოიცავს რელიგიას ან რწმენათა სისტემას, ასევე რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს.¹⁴⁰

¹³⁶ წმინდა მარიამის ეკლესია ბერშუეთში; ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია კირბალში, წმინდა გიორგის ეკლესია აქში, წმინდა გიორგის ეკლესია ქერეში, კვირაცხოვლის ეკლესია ქერეში, ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია მეჭვრისხევში, იკორთის მთავარანგელოზის ეკლესია ქვეში, იოანე ნათლისმცემლის ეკლესია დვანში, კარის საყდრის ეკლესია საკორინთლოში.

¹³⁷ 27-ე მუხლი. უენევის კონვენცია IV

¹³⁸ მე-18 მუხლი, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ

¹³⁹ მე-15 მუხლი, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ

¹⁴⁰ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, 21-ე ზოგადი კომენტარი, მე-13 პარაგრაფი

10. შეჯამება და რეკომენდაციები

„ბორდერიზაციამ“ ადგილობრივი საზოგადოებები ორად გაყო და ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მცხოვრები ადამიანები ერთმანეთს და მათი შემოსავლის მთავარი წყაროს - სასოფლო-სამეურნეო მიწებს მოწყვიტა. „ბორდერიზაციის“ შედეგად, სოფლის მცხოვრებლებმა, რომელთა ნაწილიც ქვეყნის უღარიბეს ადგილებში ცხოვრობს, საძოვრებზე, სამეურნეო მიწებზე, ხეხილის ბაღებზე, წყლის რესურსებზე და ტყის რესურსებზე წვდომა დაკარგეს. ადგილობრივები მოწყვეტილები არიან ნათესავებს, შემოსავლის წყაროებს, იმ რელიგიური დანიშნულების ადგილებს, რომელიც მათი კულტურული და სოციალური ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანია. ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთისას, ყოველწლიურად ასობით ადამიანის თვითნებურად დაკავება ხდება.

„ბორდერიზაციის“ პროცესის შედეგად გადაადგილების თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვები სხვა უფლებებზეც უარყოფითად აისახება. ადამიანის უფლებების პატივისცემის, დაცვისა და ხელშეწყობის ვალდებულება უპირველესად სახელმწიფოებს აქვთ. თუმცა, ადამიანის უფლებების პატივისცემის ვალდებულება სხვა აქტორებსაც და ერთეულებსაც გააჩნიათ, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ ინდივიდების მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობაზე პირდაპირი გავლენა აქვთ. შესაბამისად, საერთაშორისო ამნისტია რეკომენდაციებით მიმართავს როგორც რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ხელისუფლებებს, ასევე დე ფაქტო მთავრობებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში. ამ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგისა და მუდმივი დაკვირვების ვალდებულება საერთაშორისო თანამეგობრობასაც აქვს.

10.1 რეკომენდაციები

საერთაშორისო ამნისტია რუსეთის ფედერაციის მთავრობას მოუწოდებს:

სრულად სცეს პატივი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლითა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით ნაკისრ ვალდებულებებს, კერძოდ:

უზრუნველყოს, რომ რუსეთის სამხედრო ძალების, სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობების ქმედებები სრულ თანხვედრაში იყოს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან; ამასთანავე უზრუნველყოს, რომ ისინი პატივს სცემდნენ და იცავდნენ მათი ეფექტური კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა უფლებებს ეთნიკური, მოქალაქეობის, ენის ან პოლიტიკური კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, კერძოდ:

დაიცვას მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება; მათ შორის, დაიცვას ეს უფლება ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მთელ პერიმეტრზე უკანონო შეზღუდვების მოხსნის გზით. ამავე დროს უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი შეზღუდვა არსებული სიტუაციის შესაბამისი და გადაუდებელი აუცილებლობით ნაკარნახევი იყოს;

დაუყოვნებლივ გადახედოს და შეამსუბუქოს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე არსებული გადაადგილების რეჟიმი. გააუქმოს გადაადგილებაზე დაწესებული ყველა ის

შებლუდვა, რომელიც უსაფრთხოებისა და სამხედრო საფრთხეებით არ არის ნაკარნახევი. უზრუნველყოს, რომ შეწყდეს არაპროპორციული წნეხი ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე;

შეაფასოს ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ არსებული მიმოსვლის რეჟიმისა და იქ განთავსებული ინფრასტრუქტურის გავლენა ადამიანის უფლებებსა და ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე. მისი ქმედებები სრულ თანხვედრაში მოიყვანოს რუსეთის ფედერაციის მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლითა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით ნაკისრ ვალდებულებებთან. ამავე დროს, თანმიმდევრულად და ღიად აღასრულოს ნაკისრი ვალდებულებები;

უზრუნველყოს ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთისას, ან გადაკვეთის შემდეგ, რუსეთის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე უკანონოდ დაკავებული პირების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების დაუყოვნებლივი, დამოუკიდებელი, სიღრმისეული და მიუკერძოებელი გამოძიება. დაადგინოს სავარაუდო დანაშაულებებზე პასუხისმგებელი პირები, გონივრული ეჭვის და საკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე. მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით აღასრულოს სამართალი;

დაუყოვნებლივ და სრულად აანაზღაუროს მისი საერთო ეფექტური კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და მისი სამხედრო ძალების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების მსხვერპლთათვის მიყენებული ზარალი.

საერთაშორისო ამნისტია რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის შესაბამის დე ფაქტო ორგანოებს მოუწოდებს:

გახსნან აფხაზეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მდებარე გადასასვლელები და უზრუნველყონ გადასასვლელების შეუფერხებელი ფუნქციონირება სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის გასწვრივ არსებულ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან;

პატივი სცენ და დაიცვან მათი უფლებები, ვისაც ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთის სურვილი აქვთ (სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის მიმართებით). შეწყვიტონ მოსახლეობის თვითნებური დაკავებები და პატიმრობაში მყოფი პირები წამებისა და სხვა სახის არაადამიანური მოპყრობისგან დაიცვან;

შეწყდეს ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ გადაადგილებაზე დაწესებული თვითნებური შეზღუდვები, რაც უარყოფითად აისახება ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე;

ადგილობრივ მოსახლეობას, რომელმაც „ბორდერიზაციის“ შედეგად, საკუთრებაში არსებულ (ან მათ სარგებლობაში კანონიერად მყოფ) სასოფლო-სამეურნეო მიწებზე წვდომა დაკარგა, კვლავ მიეცეთ ამ მიწების გამოყენების შესაძლებლობა;

თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან, რომლის შედეგადაც, ადგილობრივმა მოსახლეობამ შესაძლოა კიდევ დაკარგოს საარსებო წყარო - სასოფლო-სამეურნეო მიწები ან მათზე წვდომა;

პატივი სცენ ოჯახური ცხოვრების უფლებას და თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან, რომელიც ამ უფლებას არღვევს, მათ შორის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის განვრივ ოჯახის წევრების მონახულებაზე თვითნებური შეზღუდვები;

პატივი სცენ რელიგიის თავისუფლებასა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უფლებას. თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან, რომელიც ამ უფლებებს არღვევს, მათ შორის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის სიახლოვეს მდებარე საფლავებისა და რელიგიური ნაგებობების მონახულებაზე თვითნებური შეზღუდვები;

სრულად ითანამშრომლონ ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ჰუმანიტარული სამართლის საერთაშორისო მონიტორინგის მისიებთან. მათ შორის: დაუშვან და ხელი შეუწყონ საერთაშორისო მონიტორების სრულ და შეუზღუდავ წვდომას რუსეთის ფედერაციის კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიებზე. კერძოდ: დაუშვან და ხელი შეუწყონ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობას რუსეთის ფედერაციის კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიებზე.

საერთაშორისო ამნისტია საქართველოს მთავრობას მოუწოდებს:

გამოყოს შესაბამისი ფინანსური და სოციალური დახმარება იმ ოჯახებისთვის, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები „ბორდერიზაციის“ შედეგად შეილახა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც „ბორდერიზაციის“ გამო სახნავ-სათეს მიწებზე, ხეხილის ბაღებზე და საძოვრებზე წვდომა დაკარგეს;

გაავრცელოს სახელმწიფო რეფერალური პროგრამა გალისა და ახალგორის რაიონში მცხოვრებ ეთნიკურად ქართველებზეც, რათა მათაც ისე შეძლონ უფასო ჯანდაცვით სარგებლობა, როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის სხვა მცხოვრებლებმა;

გამოძებნოს და მიიღოს ყველა შესაძლო ზომა „ბორდერიზაციით“ გამოწვეული დარღვევების თანამშრომლობის გზით გამოაშკარავებაში და აღმოფხვრაში, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით (ფორმალურად ან არაფორმალურად).

საერთაშორისო ამნისტია საერთაშორისო თანამეგობრობას, მათ შორის ევროკავშირს, გაეროს, ევროსაბჭოს და ეუთოს მოუწოდებს:

გამონახოს ყველა შესაძლებლობა ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გაწვრივ (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი) არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ეფექტური მონიტორინგისთვის, მათ შორის მათ ხელთ არსებული ექსპერტიზითა და სხვა რესურსებით წვლილი შეიტანონ ამ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის საერთაშორისო მონიტორინგის ჩასატარებლად და ადამიანის უფლებათა დარღვევების აღსარიცხავად და გამოსაძიებლად;

გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებებთან - ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში - გადაჭრას „ბორდერიზაციითა“ და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მონიტორინგის არარსებობით გამოწვეული ადამიანის უფლებათა დარღვევები.

საერთაშორისო ამნისტია ევროკავშირს მოუწოდებს:

გაავრცელოს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა საქართველოში;

მოსთხოვოს რუსეთის ფედერაციას, დაუშვას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) სამხრეთ ოსეთსა/ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში.

საერთაშორისო
ამნისტიკა ადამიანის
უფლებების
გლობალური
მოძრაობაა. ჩვენ
გვწამს, რომ როცა
უსამართლობა ერთ
ადამიანს ეხება, ის
ყველას საზრუნავი
უნდა გახდეს.

დაგვიკავშირდით



info@amnesty.org



+44 (0)20 7413 5500

შემოგვიერთდით



www.facebook.com/AmnestyGlobal



@Amnesty

მავთულხლართებს მიღმა

„ბორდერიზაციით“ გამოწვეული ადამიანის უფლებათა დარღვევები საქართველოში

რუსეთის ხელისუფლებისა და სეპარატისტული რეგიონების დე ფაქტო მთავრობების მცდელობებს, მოახდინონ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების „სეკურითიზაცია“ დანარჩენ საქართველოსთან, ადგილობრივი მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა აქვს.

შედეგად, ადგილობრივი თემები იზლიჩებიან და მათი შემოსავლის მთავარ წყაროს - სასოფლო-სამეურნეო მიწებს - კარგავენ. სოფლის მცხოვრებლებმა, რომელთა ნაწილიც ქვეყნის უღარიბეს ადგილებში ცხოვრობს, საძოვრებზე, სამეურნეო მიწებზე, ხეხილის ბაღებზე, წყლის რესურსებზე და ტყის რესურსებზე წვდომა დაკარგეს. ადგილობრივები მოწყვეტილები არიან ნათესავებსა და შემოსავლის წყაროებს. პროცესი უარყოფითად აისახა მათ კულტურულ და სოციალური ცხოვრებაზეც; ბევრი მათგანი ნათესავების, წინაპრების საფლავებისა და ეკლესიების მონახულებას ვეღარ ახერხებს. ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთისას, ყოველწლიურად ასობით ადამიანის თვითნებური დაკავება ხდება.

რუსეთის ხელისუფლებამ და სეპარატისტული რეგიონების დე ფაქტო მთავრობებმა ადამიანის უფლებებს და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს პატივი უნდა სცენ. მათ ჩაკეტილი გადასასვლელები უნდა გახსნან და ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან მცხოვრები ადამიანებისთვის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები უნდა შეამსუბუქონ. გადაადგილების უფლების შეზღუდვა ერთმნიშვნელოვნად აუცილებელი, პროპორციული და უსაფრთხოებისა და სამხედრო საჭიროებებით ნაკარნახევი უნდა იყოს.